


პაკისტანი: მსოფლიო  
ტერორიზმის  
ეპიცენტრი

A8



ამ ერთხელ მაინც  
მამლუკი

A10



მამლუკადის  
„ფიროსმანი“

A11

**Pirosmani**  
ფიროსმანი

Kafayati'deki Nasreddin Hoca  
Lizvan, zaman, dince, uzun, zaman, sozleri  
ზოგა წარწერის კოფისაში  
თითო წინაა და თითო წინაა შიშა

**24 საათი**

"24 საათის"  
ელექტრონული ვერსია  
ინილეთ Web-გვერდზე  
**www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

თბილისი ბანკი  
TBC BANK  
ჩვენი ვადლოვანი პროდუქტები

BORJOMI  
ბორჯომი

GRDC  
გროუპი

ჟი ჟი ჟი  
შინის სადაზღვეო ჯგუფი

## დავატრიალებთ ნადმა ბედის ბორბალს

საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა პარლამენტში

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით წარდგა და ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე ისაუბრა. უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილმა საკანონმდებლო ორგანოს მეორედ მიმართა. წინა სამი გამოსვლისგან განსხვავებით, პრეზიდენტი მოხსენების შემდეგ პარლამენტში გამართულ დებატებს დაესწრო და საპარლამენტო უმცირესობის შეკითხვებსაც უპასუხა.

დღეს, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამას არ მავალდებულებს, ვაპირებ, დავრჩე მოხსენების შემდეგ და მონაწილეობა მივიღო საპარლამენტო დებატებში," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა მისალმების შემდეგ.

ბაზრძელება A3 გვერდზე



## "მოსენაბაზი" პრეზიდენტის მოსენაბაზა

გიორგი ასანიშვილი

ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის გუშინდელ გამოსვლას, დებუტატების გარდა, ესწრებოდნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები, საზოგადოების წარმომადგენლები, მთავრობის წევრები, რეგიონების ხელმძღვანელები, ბიზნესმენები, სასულიერო პირები... ერთსაათიანი მოხსენების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის სხდომათა დარბაზშივე დარჩა და პოლიტიკურ დებატებშიც მიიღო მონაწილეობა.

გუშინდელი მოსენა საკმაოდ უცნაურად დაიწყო: პრეზიდენტის გამოსვლამდე სიტყვა ჯონდი ბალათურამ ითხოვა.

"ვინაიდან პრეზიდენტს არ აქვს სიმართლის მოსმენის სურვილი, პროტესტის ნიშნად, ვტოვებ დარბაზს," - დამსწრე საზოგადოებას ყველაზე ადრე "ქართული დასის" ლიდერი "დაემშვიდობა".

ბალათურას უკმაყოფილება იმ გარემოებამ განაპირობა, რომ

რადგანაც ის არც ერთ ფრაქციაში არ არის განწევრიანებული, რეგლამენტის მიხედვით, პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა. პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით, გამოსავლის სახით, მან დამოუკიდებელ დებუტატებს შესთავაზა, შეთანხმებულიყვნენ ერთ კანდიდატურაზე, ვისაც პრეზიდენტთან ოპონირების საშუალება მიეცემოდა, მაგრამ კონსენსუსი ვერ მოხერხდა.

მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში გუშინ 18:30 საათზე მივიდა. მისი მოხსენება ერთ საათს გაგრძელდა და მას ნახევარსაათიანი შესვენება მოჰყვა. ვინაიდან, პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, 21 საათის შემდეგ სხდომის გაგრძელება აღარ შეიძლება, პარლამენტის ხელმძღვანელობამ საგანგებო ზომას მიმართა, რათა დებუტატებს დროის დეფიციტი არ ეგრძნოთ - საკანონმდებლო ორგანოში აამოქმედეს ენ "დროის გაჩერების" მექანიზმი, ანუ განხილვის დრო საკითხის ამონაწერამდე გააგრძელეს...

ბაზრძელება A2 გვერდზე

## დაუტას ზღაპრების ბაზრძელება

არასაპარლამენტო ოპოზიცია  
პრეზიდენტის გამოსვლას აფასებს

ვერიკო თავზაძა

არასაპარლამენტო ოპოზიცია აცხადებს, რომ პარლამენტში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გუშინდელი გამოსვლა სერიოზული მსჯელობის საგანი არ არის - ეს დუტას ზღაპრების გავრძელებაა!

რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელ დავით ზურაბიშვილის შეფასებით, პრეზიდენტ სააკაშვილის გუშინდელი გამოსვლა არ იყო პრეზიდენტის ანგარიში პარლამენტის წინაშე. ეს იყო დაპირებები ნათელ სოციალისტურ მომავალზე.

როგორც დავით ზურაბიშვილმა 24 საათს განუცხადა, სააკაშვილი ამაოდ შეეცადა, პოპულისტური ლოზუნგებით ემოქმედა მოსახლეობის განწყობაზე: გვარჯილა, ტრაქტორი, ძროხები, ფერმები... მინა მუშებს და ა.შ... მთავარი ის არის, რომ მის დაპირებას არავინ დაიჯერებს. ამ კაცის განვლილი საქმიანობა გვიჩვენებს, რომ მისი სიტყვა და საქმე ყოველთვის სცილდება ერთმანეთს. ამ დაპი-

რებებს ან არაფერი მოჰყვება ან მხოლოდ ცუდი. მოკლედ, კარგად არა გვაქვს დაცდილი პრეზიდენტის დაპირებები.

დავით ზურაბიშვილი უახლოეს წარსულს იხსენებს, როცა იგი პარლამენტის წევრი იყო და საპარლამენტო ტრიბუნასთან პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მტკიცედ განაცხადა - 2008 წელს ჩვენ ყველანი ნატო-ში ვიქნებით.

რესპუბლიკელ ოპოზიციონერს უკვირს, რატომ არ შეეხო გუშინ პრეზიდენტი საერთაშორისო ურთიერთობების, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თემებს, თუნდაც აგვისტოს ომს.

პრეზიდენტს ასევე სიტყვა არ დასცდენია დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაზე, - დასძინა დავით ზურაბიშვილმა.

სერიოზულად მოხოვო პრეზიდენტის გამოსვლის შეფასებას თუ მესუმრებით? - ასეთი შეკითხვით მიმართა 24 საათს ლიბერალისტული პარტიის წევრმა გიორგი გუგავამ.

ბაზრძელება A2 გვერდზე



### საპარლამენტო ოპოზიცია იორან ლენმარკერს შეხვდა

საქართველოში ვიზიტით მყოფმა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის საპატიო პრეზიდენტმა, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოს საკითხებში იორან ლენმარკერმა ვიზიტის ფარგლებში თავისი ბოლო შეხვედრა საპარლამენტო ოპოზიციასთან გამართა.

შეხვედრაზე ისაუბრეს კონფლიქტების ზონებში არსებული მდგომარეობის, შიდა პოლიტიკური ვითარებისა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის საქართველოზე გავლენის საგარეო შედეგების შესახებ. ლენმარკერი დაინტერესდა საკანონმდებლო საქმიანობაში საპარლამენტო ოპოზიციის გეგმებით, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხით და პენიტენციურ სისტემაში არსებული მდგომარეობით.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ სტუმარს ინფორმაცია მიანიჭა კონფლიქტის ზონებში, ადმინისტრაციულ საზღვრებთან არსებულ ვითარებაზე. თარგამაძის განცხადებით, საქართველოს უმთავრეს პრობლემად რჩება უსაფრთხოების საკითხი. მისივე თქმით, გამოსავალი ევროპის საბჭოს რეზოლუციის ყველა მუხლის შესრულებაა, რომელთაც რუსეთი არც ერთს არ ასრულებს. ოპოზიცია ეტანხება ხელისუფლებას იმ საკითხში, რომ მთავარ ამოცანას, კონფლიქტის ზონებში საერთაშორისო ორგანიზაციების მუდმივი წარმომადგენლობების შენარჩუნება წარმოადგენს.

თარგამაძის განმარტებით, როგორც ოპოზიციისთვის, ასევე ხელისუფლებისთვის არის საკითხები, რომლებიც ხელშეუვალია და არც ერთ შემთხვევაში განხილვას არ ექვემდებარება - ესაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი.

24 საათი

### საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო ანტიკორუფციულ საკონსულტაციო ცენტრს გახსნის

დღეს საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო ანტიკორუფციულ საკონსულტაციო ცენტრს გახსნის, რომლის პრეზენტაცია ორგანიზაციის ოფისში გაიმართება.

ცენტრი მოქალაქეებს დაეხმარება კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. იმუშავებს უფასო ცხელი ხაზზე (822009).


მოქალაქეების მიერ მიწოდებულ შეტყობინებებს იურიდიული მრჩეველი შეისწავლის და განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს მასზე რეაგირება - რომელ სტრუქტურას უნდა მიმართოს მოქალაქემ და რა ფორმით, რა სახის მტკიცებულებები იქნება საჭირო, რა ზომები უნდა გატარდეს პრობლემის გადასაჭრელად. იურიდიული კონსულტანტი მოქალაქეს განცხადების, მოთხოვნის მომზადებაშიც დაეხმარება და სანდო ადრესატს წარუდგენს, ასევე თვალყურს მიადევნებს მოვლენების შემდგომ განვითარებას.

ცენტრის მანდატი და საქმიანობა მკაცრად იქნება რეგულაციური, მონიტორინგული ინფორმაციის კონფიდენციალობა კი - გარანტირებული. ცენტრის ფუნქციაში არ შედის საგამომიებო საქმიანობა და არ წამოიწიებს მიზანმიმართულ კომპანიათა კონკრეტული საჯარო მოხელის ან ადმინისტრაციული დაწესებულების წინააღმდეგ, თუმცა აქტიურად ითანამშრომლებს სახელმწიფო სტრუქტურებთან, ჟურნალისტებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და რეგულარულად გამოაქვეყნებს საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიშებს.

გარდა ამისა, განცხადებების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე, საკონსულტაციო ცენტრი პერიოდულად გამოაქვეყნებს კორუფციული შემთხვევების რანგირებას - სფეროების, სექტორების, სტრუქტურების და გეოგრაფიული განაწილების მიხედვით. გაავრცელებს ინფორმაციებს, თუ რომელი სტრუქტურები რეაგირებენ ყველაზე ეფექტურად მოქალაქეთა განცხადებებზე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს საკანონმდებლო და სხვა სახის სისტემური ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ცენტრის საქმიანობას აფინანსებს მარშალის ფონდის პროექტი შავი ზღვის ფონდი რეგიონული თანამშრომლობისთვის.

24 საათი



**გარდაიცვალა მწერალი ნუზარ შატაიძე**

**პანაშვიდი: 13 თებერვალს 5 საათზე, მის: ოქროყანის ქუჩა N17. გამოსვენება: 14 თებერვალს, 2 საათზე დიდუბის ეკლესიიდან**

## "მოხსენებები" პრაზიდენტის მოხსენებაზე

პირველი გვირგვინი

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის გიორგი თარგამაძის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილის გამოსვლაში, ერთი-ორი ინიციატივის გარდა, ახალი თითქმის არაფერი ყოფილა.

**"პრეზიდენტის ანგარიში პრემიერ-მინისტრის გამოსვლას უფრო ჰგავდა. უმჯობესი იქნებოდა, მიხეილ სააკაშვილს იმაზე ესაუბრა, თუ როგორ აპირებს პოლიტიკური სისტემის რეფორმირებას,"** - პრეზიდენტის საანგარიშო მოხსენება დაიწყო გიორგი თარგამაძემ. ამასთან, იგი იმითაც არის უკმაყოფილო, რომ **"პრეზიდენტს არაფერი უთქვამს ავგისტოს ომზე და იმაზე, თუ ვინ არის მომხდარზე პასუხისმგებელი."**

**"ქვეყანაში სახეზეა სისტემური კრიზისი და მას სისტემური ცვლილებებით უნდა დაეუპირისპირდეთ,"** - მოუწოდებს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი საქართველოს პრეზიდენტს.

მისი თანაგუნდელი, ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების"

თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანი კი პრეზიდენტისგან ითხოვს პასუხს ისეთ საკითხებზე, როგორც არის ქვეყანაში ანტიმონოპოლიური სამსახურების არარსებობა, სოფლის მეურნეობაში შექმნილი რთული ვითარება, განათლების სფეროში არსებული ხარვეზები, გაუხსნელი გახმაურებული მკვლელობები, დემოკრატიული ღირებულებების გაუფასურება...

**"მმართველი ძალის სამოქმედო პრინციპი გახდა "ლაპარაკი საქმის ნაცვლად,"** - ქვეყნის არაეფექტური მართვაში ადანაშაულებს ახვლედიანი საქართველოს ხელისუფლებას.

მმართველ ძალასთან პრეტენზიები მეორე ოპოზიციური ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" ლიდერს გიორგი თორთლაძესაც აქვს. იგი შეახსენებს პრეზიდენტს, რომ საარჩევნო სისტემისა და საარჩევნო ადმინისტრაციის შეცვლის გარეშე სამართლიანი არჩევნების ჩატარება ვერ მოხერხდება. მისივე თქმით, **"თუ უახლოეს მომავალში არ აღდგება სამართლიანობა, თუ მოსამართლეები არ**

**გათავისუფლებიან პოლიტიკური ზენოლისგან, დემოკრატიულ რეფორმებზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება."**

**"პრობლემებს ნუ დავემალავთ, პრობლემები უნდა გადავწყვიტოთ,"** - მოითხოვს თორთლაძე.

ოპოზიციისგან წამოსულ კრიტიკას საპარლამენტო უმრავლესობა კონტრარგუმენტებს უპირისპირებს.

**"პრეზიდენტის მოხსენებასა და ინიციატივებში საკრიტიკო არაფერია. ის, რასაც თქვენ ერთი-ორ ინიციატივას უწოდებთ, მრავალ ათას ჩვენს თანამოქალაქეს შეეხება,"** - პოლიტიკური ოპონენტებისგან წამოსულ ბრალდებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს სახელისუფლებო ფრაქციის თავმჯდომარე გოკა გაბაშვილი. ხელისუფლების გადადგმულ ნაბიჯებსა და გეგმებს ის "რეკოლუციურ რღვევად" აფასებს.

**"სიტუაცია რთულია, მაგრამ ჩვენ დღეს მოვისმინეთ მწყობრი, რეალისტური გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან,"** - მიხეილ სააკაშვილის მო-

საზრებებს მთლიანად ეთანხმება გაბაშვილი.

თავის მხრივ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილიც მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის მოხსენებაში იყო ძალიან ბევრი სიახლე, პრობლემების ხედვით და მათი გადაჭრის გზების მითითებით. იგი მოუწოდებს მიხეილ სააკაშვილს, რომ პრეცედენტი, რომელიც შარშან იქნა დაშვებული რიგგარეშე არჩევნების დანიშნასთან დაკავშირებით, წესად არ აქციოს და არანაირი ვადამდელი არჩევნები არ დანიშნოს.

გუშინდელი დებატები პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შეაჯამა.

**"ეს იყო ყველაზე მაღალი ხარისხის საპარლამენტო დებატები, რაც კი მახსოვს და მიწახვს. აქ იყო რამდენიმე მაღალი კლასის ორატორული გამოსვლა, მათ შორის გაბაშვილის და თარგამაძის,"** - თანამოაზრეებსა და კრიტიკოსებსაც ერთნაირად აქვს პრეზიდენტი, რომელმაც დებატების დროს ოპოზიციის მიერ დადგმულ საკითხებზე ისაუბრა.

## დუტას ფლაკრების ბაბრძილება

პირველი გვირგვინი

**ტრაბახის და ნიანგის ცრემლების ღვრის გარდა, მე სააკაშვილის გამოსვლაში არაფერი დამინახავს,** - აღნიშნა გუგავამ. მისი შეფასებით, სააკაშვილის მოუ უკვე დიდი ხნის წინ ნანახი ფილმია, უბრალოდ, ინტერირი იცვლება. **ამ მოსაწყენ მოუს ხან პარლამენტიდან ვუყურებთ, ხან პირდაპირი ეთერით მოსახლეობასთან კითხვა-პასუხის რეჟიმში. ქუჩაში გა-**

**ვარდნილი პრეზიდენტიც არ არის უცხო ჩვენთვის...**

გუგავას განმარტებით, ეს იყო გაკოტრებული პრეზიდენტის გამოსვლა, რომელსაც **გასაფუჭებელი აღარაფერი დარჩა.** როგორც ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, ახლა პრეზიდენტის გამოსვლის შეფასების დრო არ არის: **ახლა იმისი დროა, პრეზიდენტი პასუხისმგებლობა მიეცეს და ზღოს იმ დანაშაულებრივი ქმე-**

**დებების გამო, რაც მან საკუთარი ქვეყნის და ხალხის წინაშე მრავლად ჩაიდინა.**

მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის წარმომადგენელი ეკა ბესელია ირონიულად აცხადებს, რომ ეს იყო არა პრეზიდენტის ანგარიში, არამედ პატარებისთვის განკუთვნილი ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემის **დუტას ზღაპრების გაგრძელება, ამჯერად - მიმას ზღაპრები.**

ეკა ბესელიას შეფასებით, 12

თებერვლის პარლამენტის სხდომაზე საკუთრივ სააკაშვილის გამოსვლა არ წარმოადგენს სერიოზული განხილვის საგანს. **ერთადერთი, რასაც სერიოზულად ვუყურებ და რაც ძალიან მანუხებს, არის ის, რომ ავგისტოს მოვლენების შემდეგ საქართველოს პარლამენტის წევრები ტაშს უკრავენ ადამიანს, ქვეყნის პრეზიდენტს, რომელმაც თავისი ქვეყანა უაზრო ომში ჩააბა,** - განუცხადა ეკა ბესელიამ 24 საათს.

## ეუთო-ს დამკვირვებლები კონფლიქტის ზონასთან

დამკვირვებელი

საქართველოში ეუთო-ს მისიის საქმიანობის განახლების შესახებ კომპრომიზული გადაწყვეტილების მომზადება გადაწყვეტილებების მომზადება ორგანიზაციის მოქმედი თავმჯდომარის ვიზიტი სწორედ ამ მიზნით გადაიდო. იმავდროულად, ეუთო-მ, რუსეთის თანხმობით, კონფლიქტის ზონის სიახლოვეს განლაგებულ დამკვირვებელთა მანდატი გააგრძელა. მოსკოვისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ ეუთო-ს დამკვირვებლები ცხინვალში არ შეუშვას.

ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დორა ბაკოიანისმა საქართველოში დაგეგმილი ვიზიტი გადადო.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის განმარტებით, ბაკოიანისმა გეგმები შეცვალა და განაცხადა, რომ იგი საქართველოში ეუთო-ს მისიის გაგრძელების დოკუმენტზე იმუშავებს.

ჯერჯერობით დოკუმენტის შინაარსი უცნობია. თუმცა გასულ თვეში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან გამართული შეხვედრის შემდეგ, ბაკოიანისმა განაცხადა, რომ მუშაობა მიმდინარეობს წინადადებებზე, რომლებიც ყველასთვის მისაღები იქნება და რომელიმე მხარის "წითელი ხაზის" გადაკვეთას არ გულისხმობს.

გრიგოლ ვაშაძის განმარტებით, ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე საქართველოს შესაძლოა მარტის დასაწყისში ეწვიოს.

ეუთო-ს თავმჯდომარის ვიზიტის გადადების გამო განცხადება საქართველოში ვიზიტად მყოფმა ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა მაქსიმ ვერჰაგენმაც გააკეთა. მისი განცხადებით, ეუთო-სა და ევროკავშირის მისიებმა საქართველოში მუშაობა უნდა გააგრძელონ.

დეკემბერში რუსეთმა საქართველოში ეუთო-ს მისიის გაგრძელებას, რომელიც 16 წლის განმავლობაში მუშაობდა, ვეტო დაადო. მოსკოვმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი სტატუსის გათვალისწინება

და სოხუმსა და ცხინვალში მისიების გახსნა ადგილობრივ რეჟიმებთან შეთანხმებით მოითხოვა. თავად რეჟიმების წარმომადგენლებმა კი არაერთხელ განაცხადეს, რომ თავიანთ ტერიტორიებზე საერთაშორისო მისიების საქმიანობის წინააღმდეგნი არიან. დღეისთვის ორგანიზაციის მისია საქართველოში დასტურის რეჟიმში მუშაობს.

იმავდროულად, ეუთო-ს მუდმივმა საბჭომ გუშინ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ეუთო-ს 20 დამკვირვებლის მანდატის 30 ივნისამდე გაგრძელების შესახებ. ამას მხარი დაუჭირა ორგანიზაციის 56-ვე წევრმა, მათ შორის რუსეთმა.

თუმცა, გადაწყვეტილებაში საგანგებოდ აღნიშნულია, რომ დამკვირვებლებისთვის მანდატის გაგრძელება საქართველოში ეუთო-ს მისიის გაგრძელების საკითხზე არ იმოქმედებს. შესაბამისად, ცხინვალში ეუთო-ს დამკვირვებლები მუშაობას ვერ განაახლებენ მანამ, სანამ საქართველოში ეუთო-ს მისიის ყველა მხარისთვის, მათ შორის რუსეთისთვის, მისაღები ფორმატი არ შემუშავდება.

გადანწყვეტილება კონფლიქტის ზონაში დამატებით ოცი დამკვირვებლის განლაგების შესახებ ეუთო-მ 2008 წლის 19 აგვისტოს მიიღო. მათი მანდატი ექვსი თვით განისაზღვრა. ოცი დამკვირვებელი სოფელ კარა-ლეთთან განლაგდნენ.

მუდმივი საბჭოს გუშინდელ გადაწყვეტილებას დორა ბაკოიანისი მიესალმა. **ეს გადაწყვეტილება ადასტურებს ყველა სახელმწიფოს თანხმობას იმაზე, რომ ეუთო რეგიონში ხანგრძლივი სტაბილურობის დამყარების საერთაშორისო მცდელობების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს,** - განაცხადა ბაკოიანისმა.

**დარწმუნებული ვარ, ამ კონსენსუსის საფუძველზე ჩვენ შევძლებთ მივალნიოთ იმას, რომ ეუთო მნიშვნელოვან საქმეს გააკეთებს რეგიონში მცხოვრები ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ და გადაუდებელი ჰუმანიტარული გამოწვევების დასაძლევად,** - აღნიშნა ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ.

**გაზეთი "24 საათის" გამოცემები უკვე "გვს". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფარუაშვილი, პაატა მუხამაძე.**

**რედაქცია:** სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღვინიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილაშვილი (რეგიონი), ანა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რედაქცია და მარკეტინგის მენეჯერი:** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ტექნიკა:** თამაზ ჩხაიძე (ტექნიკური), დიმიტრი შალუბაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყავლაშვილი **რედაქციის მისამართი:** თბილისი, 01-86. **ირაკლი გამრეკელი ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**



# დავატრიალები ნაღმა ბედის ბორბალს

პირველი გვერდი

პრეზიდენტი მიესალმება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგს. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნია პარლამენტის როლის გაძლიერება და აღმასრულებელი ხელისუფლების საპარლამენტო კონტროლი. "ეს არის გზა ჩვენი დემოკრატიის გაძლიერებისკენ და მხოლოდ ძლიერი დემოკრატია წარმოადგენს საქართველოს გაძლიერების წყვეტილებას," - განაცხადა პრეზიდენტმა. მან აღნიშნა, რომ ამ გამოსვლით მიმართავს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ყველაზე მეტად უჭირს და იმ ოჯახებს, რომელთაც ყოველდღე უწევთ ბრძოლა სიღარიბესა და უიმედობასთან, რადგან მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ ნუგეში და ზრუნვა.

"მივმართავ ყველა იძულებით გადაადგილებულ პირს, ძველი თუ ახალი აგრესიის შედეგად საკუთარი სახლებიდან იძულებით გამოდევნილს. ვერანაირი დროებითი საცხოვრებელი, ერთჯერადი თუ სისტემური დახმარება ვერ ჩაანაცვლებს იმას, რაც დაკარგეს. ეს ჩვენთვის არის ყველაზე დიდი იარაღი, რომელსაც მომუშაობა სჭირდება."

მივმართავ ყველა უმუშევარს, რომლებიც ვერ ახერხებენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას. ასეთი ადამიანი დღეს საქართველოში ძალიან ბევრია და მათი პრობლემა ჩვენი უმთავრესი სატიკვარი და საზრუნავია.

მივმართავ მათ, ვინც ბოლო წლებში, როგორც იქნა დასაქმდა, მაგრამ ახლა ეკონომიკური კრიზისის შედეგად კარგავენ ან უკვე დაკარგეს სამსახური.

მივმართავ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეს. მივმართავ ყველა პენსიონერს, რომელთაც დამსახურების მეტი არაფერი მიუძღვით ქვეყნის და ხალხის წინაშე. მაგრამ დღეს ძალიან მცირე პენსიის ამარა უწევთ ხანდაზმულობის გატარებას. მივმართავ სოფლის მეურნეებს, რომლებსაც სჭირდებათ, რომ მათი შრომა სათანადოდ დაფასდეს. ამ ადამიანების მხრებზე დგას სოფელი. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ძლიერი სოფლის გარეშე ძლიერი საქართველო საბოლოოდ ვერ იქნება.

მივმართავ პედაგოგებს და მედიცინის მუშაკებს, ისინი შრომისა და თავდადების ფასად მათავალს უზრუნველნი საქართველოს. მათ დახმარება, დაფასება და შრომის უკეთესი პირობები სჭირდებათ, ვიდრე დღეს აქვთ.

ყველა ჯარისკაცს და პოლიციელს მივმართავ, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად იცავან ჩვენს ქვეყანას. ებრძვიან ქურდებს და კრიმინალებს. ისინი მზად არიან თავი გასწიონ და ბევრმა მათგანმა გასწირა კიდევ.

მივმართავ ყველა მეწარმესა და ბიზნესმენს, რომლებიც ჩვენ ხალხს ასაქმებენ და ქმნიან დოვლათს. მაგრამ, დღეს ნამდვილად არ უდგათ მართლმართლობა. მათ უწევთ ურთულესი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგებთან გამკლავება და თავის თავზე იწვინეს ეს შედეგები. ამიტომ სჭირდებათ უფრო მეტი თანადგომის სახელმწიფოს მხრიდან.

ჩვენ არ უნდა დაუშვათ, რომ პოლიტიკურ პარტიათა შორის კინკლაობაში დაგვაიწყდეს ყველაზე მთავარი, ჩვენ ხალხზე ზრუნვა," - განაცხადა პრეზიდენტმა.

## ახალი ინიციატივები ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ

მიხეილ სააკაშვილის თქმით, დღეს საქართველოს მთავრობას ერთი მთავარი პრიორიტეტი აქვს და ეს არის ეკონომიკის გაჯანსაღება, სამუშაო ადგილების შენარჩუნება და ახლის შექმნა. "ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ დღეს და უახლოესი თვეების განმავლობაში ამ მიზანს ემსა-

ხურება. არ არსებობს წინასწარ გამზადებული რეცეპტები, რა თქმა უნდა ჩვენი სახელმწიფოს რესურსები არის ძალიან შეზღუდული," - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა. მისი თქმით, დღეს მთელი მსოფლიო ცდილობს მოიფიქროს გზები თუ როგორ დააღწიოს თავი გლობალურ კრიზისს. "იმის მესამედი მანქანა არ დადის კიევის ქუჩებში, რაც დადიოდა ერთი წლის წინ. ცარიელია კაფეები, მაღაზიები, ჩამქრალია შუქები ქალის ცენტრში. პირადად ჩემთვის ძალიან რთულია ამ ყველაფრის ტელევიზიებით ყურება და მოსმენა. მაგრამ მე კარგად მესმის, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვათ საქართველოში. განსაკუთრებით კატასტროფული ეკონომიკური მდგომარეობაა იმ ქვეყნებში, სადაც ვერ მოხერხდა პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება. ტყუილად არ ვახსენებ უკრაინა," - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის განცხადებით, ყველაფერ ამის ფონზე საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით ახერხებს იმას, რომ ქვეყანაში არ არის ის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც სამეზობლოშია შექმნილი. მისი თქმით, საქართველოს რეალურად აქვს შანსი, რომ მსოფლიოში იმ ქვეყანათა ათეულში აღმოჩნდეს, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად შეეხო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი.

"ჩვენ დიდი ბრძოლა გველის და ჩვენი წარმატება დამოკიდებულია ერთ რამეზე - შევძლებთ თუ არა შევინარჩუნოთ ერთიანობა და სტაბილურობა. მხოლოდ ერთად შეგვიძლია მართლაც გადამწყვეტ პრობლემაში გამარჯვება," - განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ხელისუფლება საქართველოს ეკონომიკის გადასარჩენად სამშენებლო გეგმის განხორციელებას იწყებს.

"პირველი - ეს ნიშნავს ნაბიჯებს, რომელიც აკავშირებს უცხოურ დახმარებას ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან; ეკონომიკურ სტიმულირებად ახალ პროგრამას, რომლის მიხედვითაც მოხდება 2,2 მილიარდი ლარის სახელმწიფო მიერ ინვესტირება ისეთ პროექტებში, რომლებიც აძლიერებენ საქართველოს ეკონომიკას. მეორე, ეს ქმნის პრობლემს 25 ათასი სამუშაო ადგილის შესაქმნელად. მესამე, უცხოური კერძო ინვესტიციების მოზიდვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც მოკლევადიანი ეკონომიკური გადარჩენისთვის, ასევე ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი განვითარებისთვის.

ამ სამივე მიმართულების მიზანია, რომ სახელმწიფო დაეხმაროს ქართულ კომპანიებს იმ სახელმწიფო დაკავშირებით, რომლებზეც ახლა ცხადდება ტენდერები," - განაცხადა სააკაშვილმა

მისი თქმით სოფლის მეურნეობის სანარმოებშიც უამრავი ფული ჩაიდო. ხოლო 4.5 მილიარდიანი უცხოური დახმარებიდან 500 მილიონიანი პაკეტი ჩაიდება საბანკო სექტორში. ამ ხელშეწყობების ნაწილს უკვე მოეწერა ხელი და ნაწილს უახლოეს მომავალში მოეწერება და ბანკები თანდათან იწყებენ ფართომასშტაბიანი სესხების გაცემის განახლებას ფიქს.

პრეზიდენტმა აღმინისტრაციული ხარჯების შემცირებაზეც ისაუბრა, რაც სახელმწიფო მოხელეების შემცირებას არ ნიშნავს, რადგან თითოეული მათგანის უკან დგას ოჯახი. "ქაშვების მოჭერის" მიზნით პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ პრეზიდენტის რეზიდენცია წეროვანში გადაკეთდეს საბავშვო ბაღად და გადაეცეს იძულებით გადაადგილებულ პირებს. ამავდროულად, გასაყვდად მომზადდება ზუგდიდისა და ბათუმის ცენტრში მდებარე სამთავრობო რეზიდენციებიც. "ასეთი შემცირებიდან დაზოგვითი ფული უნდა მივმართოთ იაფი კრედიტების გასაღებად, მცირე და საშუალო სანარმოების გასახმარებლად, რათა მეტი ადამიანის დასაქმება შევძლოთ, ასევე ჯანდაცვის პროგრამის გასაფართოებლად," -

განაცხადა სააკაშვილმა და სოციალური ინიციატივის შესახებაც გააკეთა განცხადება

კერძოდ, საქმე ეხება მოქალაქეების ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის ფუნდამენტურ გადახალისებას. მისი თქმით, დღეს საქართველოში არსებობს ორი სისტემით დაზღვევა, ძვირი და უფასო. პრეზიდენტი შუალედური პაკეტის შექმნის ინიციატივით გამოვიდა.

"სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს 5 ლარიანი სადაზღვევო პაკეტის დაფინანსებაში. კერძოდ, ყველა მოქალაქე ვინც შეიძენს ამ სადაზღვევო პაკეტს, ამ 5 ლარიდან 3,35 ლარს სახელმწიფო გადაიხდის. ეს ნიშნავს, რომ მოქალაქეს გადასახდელი ექნება მხოლოდ 1.65 ლარი თვეში. გამოდის, რომ წელიწადში 20 ლარზე ცოტა ნაკლები. ამ მცირე თანხით მას შეეძლება უფასოდ მიიღოს გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება, გაიკეთოს 5 ათას ლარამდე ღირებული გადაუდებელი ოპერაცია და გაიაროს სამედიცინო გამოკვლევა პოლიკლინიკაში. ამ პაკეტში ტრამეების მკურნალობაც შედის. ხელმისაწვდომი დაზღვევის პროგრამა იქნება რეგულაციური გარდატეხა აქამდე არსებულ სისტემაში. ყველა მოქალაქეს ექნება ჯანმრთელობის დაზღვევის საშუალება," - განაცხადა პრეზიდენტმა

მიხეილ სააკაშვილმა გუშინდელ გამოსვლაში დევიზების შესახებაც ისაუბრა. "ჩვენ შევძელით, რომ რუსული აგრესიის შემდეგ აგვეშენებინა 5000 ახალი საცხოვრებელი სახლი. საერთაშორისო ორგანიზაციები ამ დროს ანდომებენ მხოლოდ საბუთების შეგროვებას, რომ შემდეგ 2 წელიწადში დაიწყონ მშენებლობა. ჩვენ შევძელით, რომ სახელმწიფო სამსახურებში დასაქმებულ ყველა დევნილს შეუწარმევდნ სამუშაო. რაც მთავარია, დავიანხეთ მთელი საზოგადოების სოლიდარობა განსაცდელში ჩავარდნილი თანამოქალაქეების მიმართ," - განაცხადა პრეზიდენტმა

გარდა ამისა, პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ ფინანსური კრიზისის და რუსეთის აგრესიის მიუხედავად, პენსია გაზდება 100 დოლარის ტოლი, როგორც ამას ხელისუფლება მოსახლეობას 50 თვისანი პროგრამის ფარგლებში პირდებოდა.

"ამასთანავე, მასწავლებლებმა უკვე მიიღეს ე.წ. მე-13 თვის ხელფასი. როგორც იქნა, გაუქმდა ერთნაირი კონტრაქტები. ხელფასები წელსვე გაიზარდა 25 ლარით. ხოლო, შემოდგომაზე ისევ ამდენით გაზრდას ვეგეგმვთ. ამასთანავე ჩვენ ვზრდით სტუდენტების დაფინანსებას, მკვეთრად უნდა გაიზარდოს მაგისტრატურის დაფინანსება," - განაცხადა სააკაშვილმა.

გუშინდელ გამოსვლაში პრეზიდენტმა საკმაოდ დიდი ყურადღება დაუთმო სოფლის მეურნეობაში არსებულ მდგომარეობას.

პრეზიდენტის განცხადებით, საბავშვო კვების ყველაზე დიდი და ცნობილი მწარმოებელი კომპანია "ჭიპი" საქართველოში ყიდულობს ქარხანას და დამატებით აშენებს მეორე დიდ ქარხანას, რის შედეგადაც ხარისხიანი ვაშლი პრაქტიკულად სულ გასაღდება. მისი განცხადებით, საქართველოში უნდა აიკრძალოს ხელოვნურად მოდიფიცირებული და გენური ინჟინერიით დამუშავებული სხვადასხვა პროდუქტების წარმოება. "ეს ყველაფერი, რაც მოგიყვებით, უახლოეს წლებში ჩვენს სოფლებში ათობით ათას სამუშაო ადგილს შექმნის. პრობლემა ის არის, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ჩვენი მოსახლეობის თითქმის ნახევარი და ერთიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ ერთ პროცენტს ქმნის. ეს კატასტროფული მარჯვენებლია," - განაცხადა პრეზიდენტმა.

ასევე გაგრძელდება პროგრამა სავარგულეობის მოსარწყავად. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ სასოფლო სამეურნეო სავარგულების საერთო ფართობი 820 ათასი ჰექტრიდან მიმდინა-

რე წელს 22 ათასი ჰექტარი მოიზრდება. ეს არის თითქმის იმდენი, რაც კომუნისტების პერიოდში იზრდებოდა.

გარდა ამისა, მიმდინარე წლის მარტის თვიდან მოქმედებს დაიწყებს სოფლების დახმარების და განვითარების ახალი ექსპერიმენტული პროგრამა - ფული ყველა სოფელს. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში 20 მილიონი ლარი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით გადაიხდებოდა. ფული მიეცემა ყველა სოფელს, სადაც მოსახლეობა თავად გადაწყვეტს, თუ რაში ურჩევნია ამ თანხის დახარჯვა.

"ჩვენი ერთ-ერთი მთავარი დაპირება, რომელიც სოფლის მივეცი, არის ყველა სოფლის გაზიფიკაცია. ეს დაპირება ძალაშია და ჩვენი სოფლის განვითარების პროგრამის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს," - განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ წელს 60 ათასი კომლის განახლებული გაზიფიკირება მოხდება.

მისივე თქმით, კოლექტიური გამოცხევიანების სისტემა უსამართლოა და საქართველო ეტაპობრივად გადავა ინდივიდუალურ მრიცხველებზე. "2010 წლის ბოლომდე მთლიანად მორჩება ყველა სოფლის ინდივიდუალური გამრიცხველიანება, ხოლო წელს 65 ათასი კომლისთვის დამთავრდება საერთო მრიცხველების უსამართლობა," - განაცხადა სააკაშვილმა.

ასევე მარტის თვიდან დაიწყება სოფლის გზების რეაბილიტაციის პროექტი. "პირველ ეტაპზე დაიგება 130 კილომეტრამდე სოფლის გზა და ამ პროექტის შედეგად მთლიანობაში მოსახლეობის 80 პროცენტთან მიიწვ მივა კარგი გზა," - აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, სოფლის მეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით ჩასატარებლად სახელმწიფო წელს 50 მილიონ ლარს დახარჯავს. ამ მიზნით ქართული სანარმო "აზოტის-გან" უკვე შესყიდულია 24 მილიონი ლარის ღირებულების გვარჯილა, რომელიც გაზაფხულზე უფასოდ დაურიგდება ფერმერებს. "მთლიანობაში მილიონამდე კომლი მიიღებს სასუსს, თითო კომლზე 50 კგ გვარჯილის ოდენობით. ამ პროგრამით ჩვენ, ერთი მხრივ, ვეხმარებით ჩვენს ფერმერებს და, მეორე მხრივ, აზოტის ქარხანას," - დასძინა სააკაშვილმა.

დასაქმების გაზრდის და ეკონომიკური სირთულეების გადალახვის საქმეში, პრეზიდენტის თქმით, ცენტრალური როლი ქართულ ბიზნესს ეკუთვნის. სააკაშვილმა ქართველ ბიზნესმენებს გამძლეობისთვის მადლობა გადაუხადა და მათ "ჩვენი დროის ნამდვილი გმირები" უწოდა. "მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე საქართველოს ხელისუფლების პასუხი იქნება უფრო უკეთესი ბიზნესგარემო საქართველოში, უფრო ლიბერალური და განხილვი ეკონომიკა, უფრო თავისუფალი ატმოსფერო იმისთვის, რომ საქმე აკეთოთ, უფრო უკეთესი ბიზნესგარემო ინვესტიციების მოსახიდად, უფრო დაცული ბიზნესი და უფრო დაცული კერძო საკუთრება. იგულდეთ მთელი მთავრობა თქვენს სამსახურში," - განაცხადა პრეზიდენტმა

## რუსული აგრესიის წინააღმდეგ

გლობალურ ფინანსურ კრიზისთან გამკლავების გარდა, პრეზიდენტმა უსაფრთხოების საკითხებზეც ისაუბრა:

"საქართველო აგრძელებს ცხოვრებას უშიშროს აგრესიის პირობებში, როცა ათობით ათასი ჩვენი მოქალაქე არაადამიანური ეთნიკური წმენდის შედეგად გამოძევებული იქნა საკუთარი სახლებიდან. ჩვენ მოგვიკლეს 166 პატრიოტი ჯარისკაცი, 16 სამაგალითო პოლიციელი და ყველა ეთნიკური წარმომავლობის ასობით მივიღოთ იანი სამოქალაქო პირი. მე მათ არ ვყოფ ეთნიკური წარმომავლობის და იმის მიხედვით, თუ ვინ

რომელ ტერიტორიაზე ცხოვრობდა. მინასთან გაასწორეს საუკუნეების განმავლობაში აშენებული და ბოლო წლებში განსაკუთრებით სწრაფად განვითარებული ჩვენი სოფლები, დაგვიომბეს ქალაქები, დაბები, დაგვიანგრეს ინფრასტრუქტურა. საქართველოს დიდი და სახიფათო მტერი უპირისპირდება. მტერი, რომელიც არ ცნობს საერთაშორისო სამართალს, არად აგდება საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მთელ ცივილიზებულ სამყაროს შანტაჟის და დაშინების გზით ელაპარაკება; ემუქრება მის სამეზობლოში მყოფ ყველა თავისუფლებისმოყვარე ერს და მტერი, რომელიც წარსულში, დაპირისპირებისკენ ექაჩება მთელ მსოფლიოს, რომელიც ახალ, უკანონო სამხედრო ბაზებს აშენებს საქართველოს ტერიტორიაზე, მაშინ, როცა მთელი ცივილიზებული სამყარო მოითხოვს აფხაზეთის და ცხინვალის დემოკრატიზაციას. მტერი, რომელიც ცდილობს, რომ საერთოდ განდევნოს საქართველო საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციებიდან, რათა საკუთარი ბოროტების შემფასებელი აღარავინ დარჩეს; მტერი, რომელიც არ თანამშრომლობს საერთაშორისო გამოძიებასთან და საკუთარი ოკუპაციის ზონაში არ უშვებს დამკვირვებლებს; მტერი, რომელიც დიქტატურით მართავს ქვეყანას და თანამშრომლობს საერთაშორისო ტერორიზმის კერებთან. საბოლოოდ, და ეს ყველამ კარგად უნდა გავითავისოთ, მუდმივად გვახსოვდეს და ამ თემაზე ილუზია ნურავის ექნება, ეს არის მტერი, რომლის უმნიშვნელოვანესი და საბოლოოდ კარგად არტიკულირებული და გამოხატული მიზანია საქართველოს საბოლოოდ დაქუცმაცება და საქართველოს მსოფლიო რუკიდან ერთხელ და სამუდამოდ გაქრობა. ამიტომ, ასეთ პირობებში ჩვენი ამოცანაა უფრო მეტი ინტეგრაცია დემოკრატიულ სამყაროსთან. ინტეგრაცია ევროპულ სივრცეში. ჩვენი ამოცანაა სამშვიდობო მისიების ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო ინსტიტუტების მაქსიმალური ჩართულობა საქართველოს სუვერენიტეტის პატივისცემის ფარგლებში; ჩვენი დაახლოება ევროპასთან და ნატოსთან, საქართველოს საერთაშორისო დიპლომატიური მხარდაჭერის კიდევ უფრო განმტკიცება. და ჩვენ ვაგრძელებთ ამ გზაზე წინსვლას. რამდენიმე დღის წინ მიუხედავად კონფერენციამ კარგად დაგვანახა, რომ საქართველოს მეგობართა დიდი წრე ჰყავს და ჩვენი ქვეყნისადმი მხარდაჭერა ძალიან ურყევია. წლის დასაწყისში ჩვენ მოვამზადეთ ხელი სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ახალ ადმინისტრაციასთან გავდივართ ამ ხელშეკრულების იმპლემენტაციას, ბევრად უფრო წინ ნასულ ფაზაზე, ვიდრე ეს წინა ადმინისტრაციის პირობებში ყოფილა."

"ნუ დაკარგავთ იმედს" "იცოდეთ, რომ ახლა ხელის ჩაქნევის დრო არ არის. ახლა არის ძალების მოკრიბის, რწმენის გაძლიერების, მტერის ჩამოფრთხვის, წელში გამართვის, ერთმანეთის ჩაჭიდების, იმედის შენარჩუნების დრო. დღეს ჩვენ სხვა გზა, სხვა ხსნა, უბრალოდ, არ გავგაჩინა. ჩვენი მთავარი მტერი ახლა არის უიმედობა, გულაცრუება და აპათია. თუ ამ მტერს არ დაენებდებით, ჩვენ ყველა სხვა მტერს დავაპარცხებთ. რაგინდ რთულიც არ უნდა იყოს, ჩვენ შევძლებთ საქართველოს გაერთიანებას, ეკონომიკური სირთულეების გადალახვას და შევძლებთ ჩვენი ხალხის დასაქმებას, უკეთესი მომავლის უზრუნველყოფას. ღმერთი იყოს საქართველოს, ჩვენი სამშობლოს და თითოეული ჩვენგანის მფარველი," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა თავისი გამოსვლის დასასრულს.



### საქართველოში ადამიანის ორგანოთა ტრანსპლანტაციის ცენტრი ჩამოყალიბდება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიგი წერეთელსა და თურქ ქირურგ იუსუფ ერსინ სონმერს შორის გამართულ შეხვედრაზე თურქმა ქირურგმა თბილისში ორგანოთა ტრანსპლანტაციის ცენტრის შექმნის პროექტი წარადგინა. როგორც გიგი წერეთელმა განმარტა, ცენტრის პროექტი ითვალისწინებს ლვიძლის, ფილტვის, პანკრეასის ჯირკვლის გადაწერვას, ასევე თანამშრომლობას საგანმანათლებლო სფეროში, ახალი კადრების მომზადებისა და სამეცნიერო კვლევების განხორციელების მიზნით. შეხვედრაზე სონმერმა განაცხადა, რომ იგი სტამბოლში წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამავე პროფილის კლინიკას და ტრანსპლანტაციის ცენტრის დაარსებისათვის მზადაა მოიწვიოს ამ სფეროს პროფესიონალები, ჩამოიტანოს უახლესი ტექნიკური აღჭურვილობა, მოიზიდოს უცხოელი პაციენტები.

24 საათი

### მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის ტელეკომპანია "ივერიისთვის" სიხშირის გამოყოფას მოითხოვს

პოლიტიკური პარტია მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის ტელეკომპანია "ივერიისთვის" სიხშირეზე უარის თქმას უსაფუძვლოდ მიიჩნევს. როგორც მოძრაობის პრესამსახურში განაცხადეს, "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" მოითხოვს, მიეცეს სიხშირე საპატრიარქოს ტელევიზიას. "ტელეკომპანია "ივერიისთვის" სიხშირეზე უარის თქმა აბსოლუტურად უსაფუძვლოა. ჩვენ თანადგომას ვუცხადებთ საქართველოს საპატრიარქოს და მოვითხოვთ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ საპატრიარქოს ტელევიზიისთვის სიხშირის გამოყოფას," - აცხადებენ "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" წარმომადგენლები.

ჯი-ეიჩ-ენი

### ქართული მხარე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დასკვნას მიესალმება

ევროკავშირის მონიტორინგის მისიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართული მხარე ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო პოტენციალს არ აძლიერებს. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ნალბანდოვმა განაცხადა. მისი თქმით, რუსეთის ბრალდებები კიდევ ერთხელ იქნა უარყოფილი. "რუსეთი ყოველთვის გვაბრალლებს, თითქოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო პოტენციალს ვაძლიერებთ. ევროკავშირის მონიტორინგის მისიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რუსეთის ბრალდება ფუჭია," - განაცხადა ნალბანდოვმა. მისივე თქმით, ქართული მხარე საქართველოს ტერიტორიაზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მანდატის გაგრძელებას მიესალმება.

ჯი-ეიჩ-ენი

### კობა სუბელიანი წეროვანს ეწვია

გუშინ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი, ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაქსიმ ვერჰავენთან ერთად, წეროვანს ეწვია. ნიდერლანდების სამეფოს მთავრობა აქტიურად ედგა მხარში საქართველოს აგვისტოს ომის პერიოდში და მის შემდგომ არაერთხელ გაუწია დახმარება რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას. ბატონმა ვერჰავენმა პირადად მოინახულა წეროვანში ჩასახლებული რამდენიმე ოჯახი. მან კმაყოფილება გამოხატა საქართველოს მთავრობის მიერ ჩატარებული სამუშაოს გამო და შემდგომი თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

ჯი-ეიჩ-ენი

### ევროკავშირის მისიის დამკვირვებლებს აფხაზეთის ტერიტორიაზე არ შეუშვებენ

"ევროკავშირის მისიის დამკვირვებლებს აფხაზეთის ტერიტორიაზე არ შემოვუშვებთ," - აცხადებს სეპარატისტული მთავრობის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში. მან ეს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელ პიტერ სემნების პირისპირ საუბრისას განუცხადა. შეხვედრა სოხუმში დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

ბაგაფშის წარმომადგენლის განცხადებით, ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო რუსეთის მთავრობას მისიის მანდატის გაგრძელების მიზნით აფხაზეთის მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენას სთხოვს, ეს კი შეუძლებელია, რადგან ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ აფხაზეთის მთავრობასთან შეთანხმებით უნდა მოხდეს.

ჯი-ეიჩ-ენი

## ევროპოზია და ეროვნული ღირსება

რუსუდან ჩაღუნაძე

ოლიმპური თამაშები პოლიტიკას არ ცნობს. სამაგიეროდ პოლიტიკა იცნობს ოლიმპიურ თამაშებს კარგად. სწორედ ამიტომ იქცა თავისუფალი სამყაროს დიდი ნაწილის მიერ იგნორირებული მოსკოვის ოლიმპიური დათვი პოლიტიკურ სიმბოლოდ.

"შეერთებული შტატები არ მიიღებს მონაწილეობას მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში, - განუცხადა პრეზიდენტმა კარტერმა ათლეტთა ჯგუფს, რომელიც თეთრ სახლში დაიბარა... ათლეტებმა წყნარად მოუსმინეს და ტაში დაუკრეს" ვკითხულობ წყაროებში (20th Century Day by Day, ISBN 0-7894-4640-5).

ამერიკის პრეზიდენტს სხვა ქვეყნებშიც აყენენ, ზოგი სრულად, ზოგი სანახევროდ. კარტერი რუსეთს 1979 წელს ავღანეთში თავდასხმის გამო სჯიდა. ორი წლის წინ ესტონეთის ხელისუფლებამ ფაშიზმზე გამარჯვებული საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლი ტალინის ცენტრიდან ქალაქის გარეუბანში გადაანაცვლა. მიზეზი: ძეგლს ესტონელები საბჭოთა ოკუპაციის სიმბოლოდ აღიქვამდნენ.

ორივე გადაწყვეტილება პროტესტს გამოხატავდა, პროტესტს საბჭოთა, იმავე რუსული აგრესიისადმი.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ გადაწყვეტილებათა მიღების დროს, შეერთებული შტატებისა და ესტონეთის სოფლებსა და ქალაქებში რუსული საოკუპაციო ჯარი არ დასერივნობდა.

მე იმ ქვეყნის წარმომადგენელი გახლავართ, რომელსაც ამ ზაფხულს რუსული თვითმფრინავები ბომბავდა და იმ ქალაქში ვცხოვრობ, რომელსაც სულ რაღაც ოცდაათი კილომეტრი აშორებს რუსი ოკუპანტებისაგან. ჩემი ქვეყანაც პროტესტს გამოხატავს, პროტესტს მიმდინარე აგრესიისადმი და რატომღაც დიდი ხმაურით ემზადება ევროპის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ვინმე დიმა ბილანის წყალობით მოსკოვში ტარდება.

ამ იდეის მხარდამჭერთა

ნაწილი თვლის, რომ ევროპოზია ფორუმია, სადაც შეიძლება სიმღერით პოლიტიკური განცხადება გააკეთო, რუსეთის აგრესია ამხილო და მთელი მსოფლიო ააღაპარაყო.

ორიოდე სიტყვით ევროპოზიაზე: კონკურსი 1956 წელს დაარსდა, ყოველწლიურად ტარდება და ორად ორი სუბიექტი, რომელიც ევროპის გამარჯვებულთა გრძელ ნუსხაში ამოვიცანი, იყო აბბა და სელინ დიონი, თუმცა ამ უკანასკნელის პოპულარობა ევროპის არ უკავშირდება. ფაქტია, რომ ევროპოზიას, როგორც ხელოვანთა ფორუმს, სერიოზულად არავინ აღიქვამს და როგორც წესი, სერიოზული მომღერლები მასში არ მონაწილეობენ.

თუმცა, ჩვენს შემთხვევაში, ევროპის ღირსებებზე უფრო მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, თუ რას ვამბობთ ჩვენი სიმღერით იმ ქვეყნის დედაქალაქში, რომელმაც საქართველო შუაზე გაგვიყო, ასიათასობით ჩვენი თანამოქალაქის ნასახლარზე დააბიჯებს და ერთი სული აქვს, ჩვენი სახელმწიფოებრიობა თავზე დაგვამხოს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ერთი რა პოლიტიკური განაცხადის გაკეთებას ვცდილობთ ჩვენ თვითონ და მეორეა - როგორ აღიქვამს ამ ყველაფერს მტრისა თუ მოყვარის გარეშე თვლი. ეს ყველაფერი ჩვენი პოზიციის გამყარებას ნაადგება თუ პირიქით, ჩვენი სისუსტის და ეროვნული უთავმოყვარეობის გამოვლენად იქნება აღქმული?

პირველები არ ვართ, ვინც მსგავსი არჩევანის წინაშე დამდგარა. ამას ბევრი ისტორიული მაგალითი ადასტურებს.

თუკი ბრიტანელი მომღერლები არ დადიოდნენ ფაშისტურ გერმანიაში გასტროლებზე, თუკი ისრაელი ამბობს უარს თეირანში ხტუნვა-თამაშზე, ჩვენ რატომღა ვირჩევთ სანაწარმდევო პრაქტიკას? მოსკოვს იქით გზა აღარ გვაქვს? ფორუმები დაილია?

თუ ჩვენთვის არ არსებობს ზღვარი, რომლის მიღმაც ღირს მტერს გავემიჯნოთ, იმისთვის რომ გზავნილი მაქსიმალურად ცხადი გავხადოთ? რას მოგვიტანს ევროპოზია?

## დილეტანტის მოსაზრება

თამარ ჰავალაშვილი

აშშ-ს რადიოსადგური Davidzon სპეციალურად "24 საათისთვის"

"ინტერ რაო" და "ეროვნული ინტერესების მორიგი დალატი" - ეს ორი ფრაზა ამ ბოლო დროს პრაქტიკულად ერთსა და იმავეს ნიშნავს. სერიოზული ანალიზი ვერავისგან მოვისმინე, მთავრობა კი ჭკვიანური სახით და იდუმალებით აღსავსე თვალუბრით ამბობს - "შენ დეო, განა მე რამე ცუდის გაკეთება შემიძლია?!" რა თქმა უნდა, არ შეუძლია, მაგრამ... ჰო და, რა დარჩენია ცნობისმოყვარე დილეტანტს? - კომპიუტერი და ინტერნეტი.

"ინტერ რაო ეესი" - ელექტრონიკურგეტიკული კომპანიაა, რომელიც რუსეთში და საზღვარგარეთ საგენერაციო და გამანაწილებელ ენერგოაქტივებს აკონტროლებს. მის დაქვემდებარებაშია 20-ზე მეტი კომპანია 15 ქვეყანაში. რუსეთში მას ელექტროენერჯის ექსპორტიმპორტის სფეროში დომინირებული პოზიციები უკავია.

ბარებაშია 20-ზე მეტი კომპანია 15 ქვეყანაში. რუსეთში მას ელექტროენერჯის ექსპორტიმპორტის სფეროში დომინირებული პოზიციები უკავია. "ინტერ რაო" საკმაოდ ამბიციური პროექტია. ამ კომპანიას იგივე დატვირთვა უნდა ჰქონოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, რაც "გაზპრომს" აქვს. ამიტომ დირექტორთა საბჭოში რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის ახლო მეგობარი და ნდობით აღჭურვილი პირი, ვიცე-პრემიერი ივან სერგინი შეიყვანეს. ეს ის სერგინია, რომელმაც რუსეთში ერთადერთი გამჭვირვალედ მომუშავე სანავთობო კომპანია "იუკოსი" გაანადგურა და პუტინის პირადი მტერი "იუკოსის" ხელმძღვანელი მიხეილ ხოდორკოვსიც ციხეში გაუშვა.

სერგინმა გადაწყვიტა, "ინტერ რაო" რუსეთის ენერგოპოლიტიკაზე საკუთარი ზეგავლენის საშუალებად გადაექცია. მან განაცხადა, რომ კომპანია ლათინური ამერიკის, აზიის, სამხრეთ-აფრიკული რესპუბლიკის და გაერთიანებული ევროპის ბაზრებზე უნდა შევიდეს. მომდევნო ორ წელიწადში "ინტერ რაომ" 5.5 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციები უნდა მოახდინოს საზღვარგარეთულ ექსპანსიაზე.

აში მონაწილეობა? შემდეგ რას მოვიმოქმედებთ? რუსეთში ჩავატარებთ ქართული კულტურის დღეებს?

სამწუხაროდ, დღეს მსოფლიომ ვერ მოახერხა რუსეთის უკანასკნელ აგრესიაზე ისევე ეპასუხა, როგორც ეს ავღანეთში შეჭრას მოაყოლა - მაშინ პასუხი იმდენად მძაფრი იყო, რომ მომდევნო 30 წლის განმავლობაში რუსეთს მსგავსი ავანტიურების ხალისიც დააკარგვინა და შესაძლებლობაც. დღეს სხვა რეალობაა. ძველ ევროპას ვერ გადაუწყვეტია რა ფორმით სჯობს რუსული საფრთხის თავიდან აცილება. ჩვენი მთავარი მოკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციები დასუსტებულია. ილუზია, რომ ევროპოზიაზე ნასვლა-არნასვლა გადაწყვეტს ჩვენი ქვეყნის ბედს, ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ არ მგონია, არსებული საერთაშორისო კონიუნქტურა ჩვენთვის სასიკეთოდ შეიცვალოს, თუ ჩვენი გაუტყელობა და დაუმორჩილებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

ამ თემაზე კამათის დროს ერთმა მეგობარმა ჩემს პოზიციას იზოლაციონისტური უწოდა. უნებურად ხუბუტია გამახსენდა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ მოსკოვში ქართველების ყრილობა მოინვია და ამჟამად აცხადებდა ტელეკამერების წინ, რუსეთი გაძლიერდა საქართველოს გარეშე, საქართველო კი რუსეთის გარეშე დაილუპებაო.

მოსკოვში ჩატარებული ევროპის გამოტოვება (თან გაგანია ფინანსური კრიზისის დროს) თუ ჩვენს იზოლაციას გამოიწვევს, დაეღუპულვართ და ვერ გავიგვია. იმავე ლოგიკით რატომ არ გავიქეცი თუბუტის ყრილობაზე? - ესეც ფორუმია! რატომ გამოვედით დღს-ღან? ფორუმი არ იყო?

არათანმიმდევრული და უპრინციპო - ეს ორი სიტყვა მიტრიალებდა თავში, როდესაც გავაცნობიერე, რომ თან გვინდა მსოფლიომ უარი თქვას სოჭში ოლიმპიადის ჩატარებაზე, მაგრამ თავად მოსკოვში ცეკვა-თამაშის გარეშე გვგონია, რომ იზოლაციაში ვექცევით. გვეწყინა, ევროკავშირმა რომ აღადგინა მოლაპარაკება რუსეთთან, მაგრამ თვითონ

პროტესტის გამოხატვის უკეთესი ფორმა, ვიდრე მოსკოვური სცენიდან სიმღერაა, ვერ მოვიფიქრეთ. ან ფანტაზია არ გვეოფნის, ან ცოდნა, ან კიდევ 200-წლიანმა მონობამ პირნმინდად დაგვაიწყა თავმოყვარეობა და ამ უსუსური და წუნკი საქციელის მაღალფარდოვან ახსნას ვეძებთ.

გავიხსენოთ მაჰათმა განდი, რომელმაც 1920 წელს ბრიტანეთთან თანამშრომლობის უარყოფის მოძრაობა წამოიწყო ინდოეთის გასათავისუფლებლად. განდომ უარი თქვა ბრიტანულ განათლებაზე, საჯარო ტრანსპორტზე, ბრიტანულ ტანსაცმელზეც კი და ცოტა ხანში მთელი ინდოეთი აიყოლია. ალბათ მასაც ჰყავდა ოპონენტები, რომლებიც ამბობდნენ: რატომ ვამბობთ უარს ბრიტანულ განათლებაზე, იქ განათლებული ხალხი ხომ ინდოეთს გამოადგებაო. ამერიკაში ნამდვილად იყვნენ ისეთები, რომ ამბობდნენ: ნავიდეს ჩვენი ნაკრები რუსეთში ოლიმპიადაზე, დაამარცხოვს საბჭოთა კავშირი და ეს იყოს ჩვენი პროტესტიო.

ფაქტია, რომ მაჰათმა განდის პოლიტიკა, ინდოეთის გათავისუფლებით დასრულდა, ისევე როგორც ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირი დაიშალა.

ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დამპყრობლის წინააღმდეგ ხალხის კონსოლიდაციის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევს. გუშინდლამდე მეგონა, აგვისტოს ომი რუსეთთან მიმართებაში ერთიანი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს. დღეს დაბნეული ვარ! 2008 წლის 1 სექტემბერს ცოცხალ ჯაჭვში ვიდექი ჩემს თანამემამულეებთან ერთად და დანარჩენ მსოფლიოს მოუწოდებდი, რუსეთისთვის ადეკვატური პასუხი გაეცა, უცნაური სიამაყით ამეღიარა გული, როდესაც რუსების ერთერთმა ყველაზე საყვარელმა ქართველმა, ბუზა კიკაბიძემ რუსეთში სიმღერაზე უარი თქვა. დღეს იძულებული ვარ, მოსკოვურ სცენაზე მოხტუნავე ჩემს თანამემამულეს დავუკრა ტაში და საუკეთესო შემთხვევაში თავი იმით დავიმშვიდო, რომ რუსებს დავციენთ(!).

გრძელდება. თუ 2008 წლის ნოემბერში კომპანიის კაპიტალიზაცია 682 მილიონ დოლარს შეადგენდა, 2009 წლის თებერვალში ეს ციფრი 360 მილიონამდე შემცირდა. 2009 წლის 19 იანვარს "გაზპრომბანკმა" "ინტერ რაოს" 220 მილიონი ევროს კრედიტი მისცა.

ოფიციალური მონაცემებით, 2008 წელს რუსეთის ელექტროენერგეტიკის სფერომ თითქმის 7 პროცენტისიან დანაკლისი განიცადა. ენერგეტიკოსები აღიარებენ, რომ მათ სახსრები არ ჰყოფნით და საინვესტიციო პროგრამების შემცირებას აპირებენ. რუსეთის სახელმწიფო კი მხოლოდ კრემლთან დაახლოებულ კომპანიებს ეხმარება. ამას დაემთხვა ისიც, რომ ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, 2009 წელს უკრაინა და მოლდოვა ახლად შექმნილ ენერგეტიკულ კავშირში მიიღოს.



# მორიბი განაცხადი სტრასბურგში

სტრასბურგის სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადების რიცხვს კიდევ ერთი შეემატა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და ორგანიზაცია საერთაშორისო სამართლის ადვოკატების განცხადებით, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოს არაერთი მოქალაქე დაზარალდა და რუსი ოკუპანტების მიერ შეიღება მათი ფუნქციონირების უფლებები. კერძოდ, როგორც ხსენებული ორგანიზაციების წარმომადგენლები ამბობენ, ომის დროს მასობრივად ხდებოდა მოქალაქეთა უკანონოდ დაკავება და მათი ტყვეობაში ყოფნა. ტყვეობაში ყოფნის პერიოდში იძულებულნი იყვნენ გაეჩინათ მონური შრომა, მრავალმა მათგანმა დაკარგა ახლობლები და ასევე რეალური საფრთხე შეექმნა მათ სიცოცხლეს, დაზარალებულთა ნაწილი გახდა ნა-

მების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი, ასევე მასობრივად ხდებოდა ქონების განადგურება. დიდი და პატარა ლიხვის ხეობაში მცხოვრებ ქართველთა უმრავლესობის სახლები მთლიანად გადაწვეს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აგვისტოდანვე აქტიურად ჩაერთო მიმდინარე მოვლენებში.

საია-ს თავმჯდომარის თამარ ხიდაშელის განცხადებით, მათმა ადვოკატებმა დაიწყეს ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევა. საია უწყევდა უფასო იურიდიულ დახმარებას რუსეთის აგრესიის დროს დაზარალებულ ასობით ადამიანს და ასევე სთავაზობდა მათ ინტერესების დაცვას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

**სექტემბრიდან მოყოლებული საია-ს ადვოკატებმა**

**დაახლოებით 1000 ადამიანს გაუნიეს იურიდიული კონსულტაცია. საბოლოო ჯამში, რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში საია 49 საქმეს აგზავნის, რომელშიც 340 დაზარალებულის ინტერესია გათვალისწინებული, - აცხადებს თამარ ხიდაშელი.**

იმის გათვალისწინებით, რომ სტრასბურგის სასამართლოში საქმის განხილვა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გაგზავნილი განაცხადების დაჩქარებული წესით განხილვას ითხოვს. ამასთანავე, საია-ს მოითხოვდა, რომ ევროსასამართლო საქართველოში მოავლინოს ფაქტების დამდგენი კომისია, რომელიც ადგილზე გაერკვევა საქმის ვითარებაში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში საიას თავმჯდომარე თამარ ხიდაშე-

ლი და ორგანიზაცია საერთაშორისო სამართლის ადვოკატები დღეს ბრიფინგს გამართავენ.

საია-ს ინფორმაციით, სტრასბურგში გაგზავნილი საქმეებზე მუშაობის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული იურისტები ასოციაციის პარტნიორი ორგანიზაციებიდან - ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრიდან (ბრიტანეთი) და მართლმსაჯულების ინიციატივა რუსეთისთვის" (ჰოლანდია).

როგორც საია-ს აცხადებენ, საქმის განმცხადებელთა სასარგებლოდ დამთავრების შემთხვევაში (რისი ალბათობაც საკმაოდ დიდია), რუსეთის ფედერაციას დაეკისრება კომპენსაცია დევნილების სასარგებლოდ იმ მორალური და მატერიალური ზიანისთვის, რაც მათ მიაყენეს.

**საკუთარი ინფორმაცია**

## მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება საჯარო რეესტრში მოხდება

საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო გახდა მართლზომიერ მფლობელობაში - სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანო.

საკანონმდებლო ცვლილებებამდე ამ ფუნქციას ახორციელებდა ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითი ორგანოს მუდმივმოქმედი კომისია.

ამიერიდან საჯარო რეესტ-

რმა, ნაცვლად ადრე არსებული ნ-თვიანი ვადისა, 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა დაადგინოს, მართლზომიერად ფლობს თუ არა მოქალაქე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწას, რის შემდეგაც საჯარო რეესტრი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მინის ნაკვეთის კერძო საკუთრებაში გადაცემის ან გადაცემაზე უარის თქმის შესახებ.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მართლზომიერ მფლობელად ასევე ითვლება პირი, რომელსაც არ გააჩნია მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი

დოკუმენტი, მაგრამ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში (ტექნიკური არქივში) აღრიცხულია 1994 წლამდე, როგორც თვითნებურად მოსარგებლე.

მინის ნაკვეთზე მართლზომიერი მფლობელის (მოსარგებლისთვის) საკუთრების უფლების მისაღებად მოქალაქემ საჯარო რეესტრში უნდა წარადგინოს განცხადება, მინით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მინის საკადასტრო აზომებით ნახაზი, საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და კანონმდებლობით გათვალის-

წინებული სხვა დოკუმენტაცია.

დღეისათვის საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში ამ მომსახურების მისაღებად 911 განაცხადია შემოსული. 150-მდე მოქალაქეს უკვე დაურეგისტრირდა მართლზომიერი მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთი. ყოველდღიურად აღნიშნული მომსახურების მისაღებად საჯარო რეესტრის 60-მდე მოქალაქე აკითხავს და დაინტერესებული პირების რიცხვი ყოველდღიურად მატულობს.

მოქალაქეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ტელ: 48 12 48; 48 12 49.

**საკუთარი ინფორმაცია**

## ოგბუდსპენის მოთხოვნა

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ ჯონი ოთარაშვილს გლდანინაძე აღადგინოს შს N9 განყოფილების თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დასმა მოსთხოვა.

როგორც სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მასალებით გაირკვა, შს გლდანინაძე აღადგინოს N9 განყოფილების თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილ კახა მალაქაძის დაკავების ფაქტი აღრიცხვის წიგნში არ დააფიქსირეს. კახა მალაქაძე უკვე გასამართლებულია და, ამჟამად, რუსთავის N2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაშია მოთავსებული.

კახა მალაქაძის დაკავებასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს მთავარი პროკურორისგან. მთავარი პროკურატურისგან მიღებული საქმის მასალების შესაბამისად, 2003 წლის 19 ნოემბერს, კახა მალაქაძე აღადგინოს ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს მე-9 განყოფილებაში, ადვოკატის თანდასწრებით, განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ყაჩაღობის ბრალდება წარედგინა. თუმცა, თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანინაძე აღადგინოს N9 განყოფილებიდან სახალხო დამცველს ვერ მიაწოდეს ინფორმაცია კახა მალაქაძის დაკავებასთან დაკავშირებით და მიღებული პასუხით ცნობილი გახდა, რომ მალაქაძე აღადგინოს ნაძალადევის N9 განყოფილების დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნში საერთოდ არ არის ნახსენები.

სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ ჯონი ოთარაშვილს, დაისვას იმ პირთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, ვისაც ევალებოდა კახა მალაქაძის დაკავების გატარება დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნში, - განმარტავენ ოგბუდსპენის აპარატი.

სახალხო დამცველმა რუსეთის N2 დაწესებულების სასჯელაღსრულების დეპარტამენტს რეკომენდაციით მიმართა მსჯავრდებულ ბ. კ.-ს სამედიცინო შემოწმების თაობაზე და ასევე მოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, საჭიროებდა თუ არა მსჯავრდებული ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანას. სახალხო დამცველის განცხადებით, მას მსჯავრდებუ-

ლის დედამ მიმართა, რომლის განმარტებითაც, მსჯავრდებული დაავადებულია ტუბერკულოზის მძიმე ფორმით და იგი 2006 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულია სამკურნალო დაწესებულებაში მკურნალობდა, "საიდანაც გამოწერეს და მკურნალობა უსაფუძვლოდ შეწყვიტეს," - განმარტავენ მსჯავრდებულის დედა.

მსჯავრდებული ვერ იღებს საჭირო პრეპარატებს, რის გამოც, მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა და ესაჭიროება აუცილებელი სტაციონალური მკურნალობა.

სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, შემდგომი კვლევის მიზნით, მსჯავრდებული ბ.კ. ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

**საკუთარი ინფორმაცია**

### ინციდენტი ლანჩხუთში

ლანჩხუთის სასამართლომ ქალაქ ლანჩხუთში მცხოვრებ ალექსანდრე ციბენკოს 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

როგორც გამოძიებით ირკვევა, ციბენკოს ჩხუბი მოუვიდა ცოლის ძმასთან იმასთან დაკავშირებით, რომ დაზარალებულმა პასუხი მოსთხოვა დის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო.

დაჭრილი მიხეილ ჩაჩავას სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს, სადაც ჩატარებული ურთულესი ოპერაციის შემდეგ სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

ამასთან, გამოძიება ციბენკოს სახლიდან ამოიღო ნარკოტიკული ნივთიერება კანაფი.

მიუხედავად იმისა, რომ ცოლისძმას მატერი-ალური და სხვა სახის ზიანის ანაზღაურება არ მოუთხოვია, ბრალდებულს 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### ავსტრალიაში ტყის ხანძრის გაჩენაში ორი ადამიანი ეჭვმიტანილი

ავსტრალიაში ტყის ხანძართან დაკავშირებით ორი ადამიანი დააპატიმრეს. პოლიციაში აცხადებენ, რომ დაკავებულები ერთობ საეჭვოდ იქცეოდნენ, თუმცა, დეტალები არ დაუკონკრეტებიათ. ერთიანობაში, უცნობი რჩება დაკავებულები ეჭვმიტანილი არიან ხანძრის გაჩენაში თუ მოროდორობაში.

გამოძიება სანყის სტადიაზეა," - აღნიშნეს პოლიციის წარმომადგენლებმა.

ავსტრალიაში ტყის ხანძრებს 181 ადამიანის სიცოცხლე ესმხვერპლა. მეხანძრეები მსხვერპლის რაოდენობის გაზრდას ელიან, როგორც კი ყველა დამწვარ-დანგრეულ სახლს შეამოწმებენ.

**მედიანიუსი**

### პატიმარი ქალების პროტესტი

ქალთა საპატიმროში ლურსმით მიჭედელ ორ პატიმარს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენელი ანა ქებაძე შეხვდა. როგორც ქებაძეს მოშიმშილე პატიმარმა ქალებმა განუცხადეს, მათ სამინისტროს მიმართ პრეტენზია არ აქვთ. თავის მხრივ, სამინისტროს წარმომადგენელი ანა ქებაძე პატიმრებს დაპირდა, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე იზრუნებს და მათ მოთხოვნას ადრესატამდე მიიტანს.

10 თებერვალს ქალთა დაწესებულებაში, მკვლელობისთვის მსჯავრდებულმა ციციო საბაშვილმა ლურსმით ხელ-ფეხი დაიჭედა და მშრალი შიმშილობა დაიწყო. პროტესტის ასეთ ფორმას საბაშვილმა მას შემდეგ მიმართა, როდესაც შეიტყო ალტერნატიული ექსპერტიზის პასუხი. იგი მის მიმართ წაყენებული ბრალდების ხელახალი გადასინჯვას და სისხლის სამართლის საქმის ობიექტურ გამოძიებას ითხოვს.

მკვლელობის მუხლით გასამართლებულ ციციო საბაშვილს სასამართლომ 17 წლით პატიმრობა მიუსაჯა. იგი სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებს.

იმავე მოთხოვნით ციციო საბაშვილს კიდევ ერთი პატიმარი ლეილა სარქისოვიც შეუერთდა. ამჟამად, ორივე პატიმარი ქალთა საპყრობილეში ლურსმით არის მიჭედელი.

**მედიანიუსი**

### ამერიკელი დიპლომატის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

ეთიოპიის ჩრდილოეთში ადგილობრივი მცხოვრებია დაპატიმრებული, რომელსაც ამერიკელი დიპლომატის ბრაიან ედქინსის მკვლელობაში ედება ბრალი. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, დაკავებისას ეჭვმიტანილს მოკლულის საბუთები, მობილური ტელეფონი და ნოუთბუქი აღმოაჩინდა.

ამჟამად დაკავებული, რომლის ვინაობაც არ სახელდება, ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაშია. ძიება მიმდინარეობს. ამერიკის საელჩოს თანამშრომელი საკუთარ ბინაში იპოვეს მკვდარი. ოფიციალური ინფორმაციით, ის დანიით იყო დაჭრილი და სისხლდენის გამო გარდაცვლილიყო.

**მედიანიუსი**



# აბრეხიული ვიდეოთამაშების ტრაგიკული ფინალი

## სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლა გაქურდეს

გუშინინ, საღამოს, სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლა გაქურდეს. სკოლის პედაგოგების განცხადებით, წაღებულია კომპიუტერი, ფაქსი და სხვადასხვა ფინანსური დოკუმენტები.

სხვათ შორის, განათლების სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სკოლის ფინანსური საქმიანობის შესწავლა რამდენიმე დღის წინ დაასრულა.

სკოლის პედაგოგები და სამეურნეო ნაწილის უფროსი დირექტორს სკოლის ბიუჯეტიდან თანხების მითვისებასა და არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებენ.

სკოლის გაქურდვის ფაქტზე შს გურჯაანის სამმართველოში სისხლის სამართლის საქმე უკვე აღიძრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ნარკომანიის პრობლემა აფხაზეთში

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა გაფართოებული აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს სხდომა ჩაატარა. მასზე აფხაზური მხარის ინფორმაციით, სხდომაზე გალისა და ოჩამჩირის რაიონებში აფხაზური პასპორტების გაცემისა და ნარკოტიკული საშუალებების შემცველი პრეპარატების უკანონო ბრუნვის საკითხი განიხილებოდა. სხდომას სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელები, განათლებისა, ჯანდაცვისა და იუსტიციის ე.წ. მინისტრები და საპასპორტო-სავიზო სამსახურების ე.წ. უფროსები ესწრებოდნენ.

ნარკომანიის პრობლემაზე საუბრისას სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ აფხაზეთში ამ მიმართულებით მდგომარეობა ძალიან მძიმეა. სეპარატისტთა ე.წ. შს მინისტრმა ოთარ ხეციაძე კი ნარკოტიკების მოხმარებისა და გავრცელებისათვის სასჯელის გამკაცრების წინადადებები გამოთქვა. მისივე თქმით, აფხაზეთის ე.წ. შს სამინისტროში მალე შეიქმნება ახალი განყოფილება, რომელიც ნარკომანიასა და ნარკოვაჭრობის პრობლემებს შეისწავლის. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჭაბა ბოჭგუა რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს

მსჯავრდებული ჯაბა ბოჭგუა რესპუბლიკურ საავადმყოფოში გამოკვლევაზე გადაიყვანეს. ბოჭგუას ოჯახის ახლობლების ინფორმაციით, პაციენტს ტვინის ტომოგრაფიული გამოკვლევა უნდა ჩაუტარდეს.

ჯაბა ბოჭგუას მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა, იგი მდგომარეობიდან ვერ გამოდის და კონტაქტურიც არ არის.

ერთი კვირის წინ სასჯელალსრულების დეპარტამენტის მე-6 დაწესებულებაში პატიმარ ჯაბა ბოჭგუას გული გაუჩერდა, რის გამოც, მას ტვინის შემუშება განუეთარდა. დღემდე ჯაბა ბოჭგუა ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში იმყოფებოდა. ოჯახის წევრების ინფორმაციით, როგორც კი ტომოგრაფიული გამოკვლევა ჩატარდება, ჯაბა ბოჭგუას ისევ ლუდუშაურის კლინიკაში დაბრუნებენ. ჯაბა ბოჭგუა თაღლითობის ბრალდებით დააკავეს. **მედიანიუსი**

## მსჯავრდებულს სასჯელი შეუმსუბუქდა

მსჯავრდებულ აპოლონ მ.-ს ინტერესებს სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი რომან კეიჯია იცავდა. აპოლონ მ.-ს ბრალად ედებოდა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-ტარება, აგრეთვე ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ აპოლონ მ.-ს 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დააკისრა ჯარიმა 4 ათასი ლარის ოდენობით.

რომან კეიჯიამ აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. საბოლოოდ, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, აპოლონ მ.-ს დაეკისრა ჯარიმა 2 ათასი ლარი და განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც რეალურად სასჯელალსრულების დაწესებულებაში 6 თვის გატარება მოუწევს.

იურიდიული დახმარების სამსახური მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ კონსულტაციებს უწევს. 2009 წლის თებერვლიდან იურიდიული დახმარების სამსახური ფუნქციონირებას სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში აგრძელებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

*ამერიკაში, ოჰაიოს შტატში, ვიდუოთამაშების 17 წლის ფანატს ასამართლებენ, რომელმაც დედა მოკლა, მძიმედ დაჭრილი მამა კი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. დენიელ პეტრიკმა ცეცხლსასროლი იარაღიდან მშობლებს მას შემდეგ ესროლა, რაც მისთვის საყვარელი თამაში აუკრძალეს და სათამაშო აპარატი დაუშლეს. ფსიქოლოგების აზრით, დენიელ პეტრიკმა რეალობის შეგრძნება დაკარგა და თავისი საყვარელი თამაშის Halo-3-ის მთავარი პერსონაჟის მსგავსად მოიქცა. მან ვერ გათვალა, რომ მისი მშობლები ნამდვილად მოკვდებოდნენ, - ასეთია ფსიქოლოგების დასკვნა.*

დენიელ პეტრიკს სამუდამო პატიმრობა ემუქრება. მიუხედავად იმისა, რომ განსასჯელის ადვოკატებიც და ფსიქიატრებიც სასამართლო პროცესზე განმარტავდნენ, რომ დენიელ პეტრიკი აგრესიული თამაშებით იყო მოჯადოებული, რის გამოც ვირტუალური და რეალური სამყარო მისთვის განურჩეველი გახდა, მოსამართლე ჯიმი ბიორჩი დარწმუნებულია, რომ მას დედ-მამის მკვლელობა წინასწარ ჰქონდა განზრახული. გამოძიების მასალების მიხედვით, მკვლელობის დამეს დენიელ პეტრიკმა მამას იმ სეიფის გასაღები მოპარა, რომელშიც 9 მილიმეტრის კალიბრის პისტოლეტი ინახებოდა. ამავე სეიფში ჰქონდათ მშობლებს დამალული შვილის სათამაშო აპარატიც.

**შენთვის სიურპრიზი მაქვს, გთხოვ, თვალი დახუჭო, მთხოვა შვილმა ოთახში შემოსვლისას, - განაცხადა მარკ პეტრიკმა, - სიურპრიზის მოლოდინში, ბავშვის სურვილი შევასრულე და**

**მართლაც დავხუჭე თვალები. მას შემდეგ არაფერი მახსოვს, -** ასეთი ჩვენება მისცა სასამართლოს განსასჯელის მამამ, რომელიც სიკვდილს გადაურჩა. მას შვილმა თვალდახუჭულს ცეცხლსასროლი იარაღიდან თავში ესროლა. როგორც გაირკვა, დენიელ პეტრიკი ასევე მოექცა დედას, რომლისთვისაც მიყენებული ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. ამის შემდეგ, მოზარდმა ტკივილისგან გონებადაკარგულ მამას იარაღი ხელში დააჭერინა, თვითმკვლელობის ინცენიერება მოაწყო და სახლიდან გაუჩინარდა. თან მხოლოდ ის სათამაშო მოწყობილობა წაიღო, რომელიც მას მშობლებმა დაუშლეს.

მოსამართლემ არ გაიზიარა განსასჯელის ადვოკატის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ სასამართლოს განსასჯელის შემასუსებულ გარემოებად მისი არასრულწლოვანება ჩაეთვალა.

დეტექტივებმა დაადგინეს, რომ დენიელ პეტრიკი დღე-ღამის განმავლობაში ვიდუოთამაშებს 18 საათს უთმობდა. ის თამაშებს ვერ წყდებოდა მეგობრებთან სტუმრობის დროსაც.

მოსამართლის განცხადებით, გამოძიებამ საკმარისი მტკიცებულებები შეაგროვა იმის დასადასტურებლად, რომ 17 წლის დენიელ პეტრიკმა დანაშაული წინასწარ განზრახვით ჩაიდინა. თუმცა, მოსამართლემ სასამართლო პროცესზე ისიც თქვა, რომ განსასჯელს ფსიქიკა სწორედ აგრესიული თამაშების სიყვარულმა დაუზინა. მოსამართლემ ასეთი სახის თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების ფსიქიკა ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულების ფსიქიკას შეადარა.

**როგორც კი აღამიანი თამაშს შეწყვეტს, მისი გონება მაშინვე ამ თამაშის ახლიდან**



დენიელ პეტრიკმა ცეცხლსასროლი იარაღიდან მშობლებს ესროლა.

**დანყებას ითხოვს, ისევე, როგორც კოკაინისა და პეროინის მომხმარებლის გონება - ხელახალ დოზას. აგრესიული თამაშების პრინციპი უარყოფითად მოქმედებს მოზარდის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ვირტუალური მონინაალმდეგეების დახოცვის შემდეგ, მოთამაშე ახალ ეტაპზე გადადის, რამდენიმე ეტაპის გავლის მერე კი მოთამაშე კვლავ უწევს ყოფილ მონინაალმდეგეებთან ბრძოლას, რომლებზეც თამაშის პრინციპიდან გამომდინარე, ვირტუალურად ცოცხლდებიან. დარწმუნებული ვარ, რომ დენიელ პეტრიკმა წინასწარ განზრახული მკვლელობის ჩადენისას ვერ განსაზღვრა,**

**რომ მისი მშობლები სამუდამოდ დაიღუპებოდნენ და თამაშის მსგავსად, ველარ გაცოცხლდებოდნენ, -** განაცხადა მოსამართლე ჯიმი ბიორჩმა.

დენიელ პეტრიკის ოჯახის ახლობლებმა სასამართლო პროცესზე განაცხადეს, რომ მზად არიან, დენიელ პეტრიკს მშობლებთან სისხლიანი ანგარიშსწორება აპატიონ.

ვიდუოთამაშის Halo-3-ის შემქმნელად ამერიკული სტუდია Bungie მიიჩნევა, თამაშის კანონიერ მფლობელად კი - Microsoft-ი. ამ თამაშის გამო მოვლენების ტრაგიკულად განვითარებასთან დაკავშირებით, კომპანიის წარმომადგენლები ყველანაირი კომენტარისგან თავს იკავებენ.

# ბანკის მოლოდინში

თბილისის საქალაქო სასამართლოში არჩილ ბენიძის სასამართლო პროცესი გაგრძელდა. საქმე ამჟამად მონმეთა დაკითხვის სტადიაზეა. როგორც განსასჯელის ადვოკატმა განაცხადა, საქმის სწორად წარმართვის შემთხვევაში, არჩილ ბენიძე სა-

სამართლოს დარბაზიდანვე უნდა გაათავისუფლონ. თუმცა, მან დაამატა, რომ მოსამართლეები "ელოდებიან ზარებს," რადგან დამოუკიდებლად ვერ იღებენ გადაწყვეტილებებს.

სასამართლო 19 თებერვლისთვის გადაიდო, რომელზეც დაი-

კითხებიან შალვა ნათელაშვილის მძლოლი და დეიდაშვილი. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში არჩილ ბენიძეს 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის.

არჩილ ბენიძე ფულის გათეთრების ბრალდებით 2008 წლის ივ-

ლისში დააკავეს. იგი ლეიბორისტული პარტიის წევრია და ლეიბორისტები და მისი ადვოკატი პოლიტპატიმრად მიიჩნევენ, რადგან არჩილ ბენიძის დაპატიმრებას 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებს უკავშირებენ.

24 საათი

## ბანკმა "რესპუბლიკამ" ლტოლვილებს ფულადი დახმარება გადასცა

ბანკი რესპუბლიკა - ჯგუფი სოსიეტე ყენერალი კვლავ აგრძელებს აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დხმარების პროგრამას. ბანკის საქველმოქმედო ფონდმა ცისკარმა გორსა და მის მიმდებარე სოფლებში ის დაზარალებული ოჯახები შეარჩია, რომელთაც ყველაზე მეტად ესაჭიროებოდათ ფულადი დახმარება. გუშინ ბანკი რესპუბლიკის სათაო ოფისში 80-მდე დაზარალებულმა ფულის სახით 200 ათასი ლარი მიიღო.

უნდა აღინიშნოს, რომ ბანკი რესპუბლიკის აქცია პირველი არ არის. ჯერ კიდევ გასულ წელს, ბანკმა დაზარალებულთა დასახმარებლად 500 ათასი ლარი გამოყო, საიდანაც 100 ათასი ლარი საქართველოს საპატრიარქოს ანგარიშზე განთავსდა, 25 ათასი ლარი ცხინვალი-ნიქოზის ეპარქიის, ხოლო 75 ათასი გორი-სამთავისის ეპარქიის ანგარიშზე დაირიცხა. აღნიშნული თანხიდან დაზარალებულებმა საკვები, მედიკამენტები და საყოფაცხოვრებო ნივთები მიიღეს. ამჯერად კი დახმარება ლტოლვილებმა მხოლოდ ფულადი სახით, პირადად მიიღეს.

ბანკი რესპუბლიკა იზიარებს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას მთლიანად ქვეყნისა და თითოეული მოქალაქის წინაშე და მზადაა, მაქსიმალური დახმარება გაუციოს იმ ადამიანებს, ვისად დღეს ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება. ჩვენ მანამდეც განვახორციელეთ საქველმოქმედო პროგრამა, მაგრამ ახლა უშუალოდ ფულით დავეხმარეთ გორისა და მისი მიმდებარე დაზარალებული სოფლების განსაკუთრებით გაჭირვებულ მოსახლეობას. საგულისხმოა ის, რომ ამ ადამიანებმა თავად გამოთქვეს სურვილი, ჩამოსულყვნენ და ბანკი რესპუბლიკისთვის პირადად გადაეხადათ მადლობა ამ აქციისთვის. - განაცხადა რესპუბლიკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

ბანკი რესპუბლიკა წამყვანი კომერციული ბანკია საქართველოში. ფინანსური კრიზისის მიუხედავად, ბანკი მუდმივად ცდილობს სიახლეებისა და მომსახურების სფეროში მოქნილი სისტემების დანერგვას. გარდა ამისა, ბანკი მომსახურების ოფისების გაფართოებასაც აქტიურად აგრძელებს. სულ რაღაც 2 კვირის წინ, ბანკი რესპუბლიკის სერვის-ცენტრი სანჯონაშიც გაიხსნა.

ბანკი რესპუბლიკაში 900-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. ბანკის წილი მთლიან საბანკო დეპოზიტებში 8,6%-ს, ხოლო მთლიან საბანკო ესესებში - 7,6%-ს შეადგენს. კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელი კი 3%-ით განისაზღვრება.



# რუსულ-ამერიკული შეთანხმება

## რუსეთი ტვირთის გატარებას დათანხმდა

### მარიკა იაშვილი

ტრანზიტის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა: რუსეთი თანახმაა, ამერიკული არასაბრძოლო დანიშნულების ტვირთი თავის ტერიტორიაზე გაატაროს. პროექტის განხორციელება უახლოეს მომავალში დაიწყება.

საკითხი საბოლოოდ ორმხრივ შეხვედრაზე გადაწყდა. მიმდინარე კვირას მოსკოვში ამერიკის საგანგებო დელეგაცია ჩავიდა, რომელსაც სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე პატრიკ მუნი ხელმძღვანელობდა. მხარეები საკითხს ორი დღის განმავლობაში განხილავდნენ. თუმცა მოლაპარაკებათა ხანგრძლივი პროცესი დადებით შედეგით დასრულდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი იტყობინება, რომ შეხვედრაზე საუბარი შეეხო რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომელიც ავღანეთის პრობლემების მოგვარებაში საერთაშორისო ძალების დახმარებას გულისხმობს. კონკრეტულად კი საუბარია სარკინიგზო ტრანსპორტით არასაბრძოლო დანიშნულების ტვირთის, ძირითადად, ჰუმანიტარული დახმარების ტრანზიტზე.

იგეგმება, რომ ტვირთი, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე გაივლის, ავღანეთამდე ყაზახეთისა და უზბეკეთის გავლით ჩავა. ამ მომენტისთვის მუშაობა უკვე გეგმის ბოლო დეტალებზე მიმდინარეობს.

**"საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია, მხოლოდ რამდენიმე ტექნიკური დეტალია დარჩა დასაზუსტებელი,"** - აცხადებენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

რუსეთის მხრიდან ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეიძლება ერთგვარ გზავნილად ჩაითვალოს, რომელიც რუსეთის ფედერაციის ამერიკის ახალ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის სურვილზე მეტყველებს.

მოლაპარაკებებზე კომენტარი სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა რობერტ ვუდმა აცხადებდა. მისი განცხადებით, შეხვედრამ დელეგაციის წევრებსა და რუსულ მხარეს შორის საკმაოდ კარგად ჩაიარა და მათ **"ავღანეთთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრი განიხილეს."**

რუსეთის თანხმობა არასაბრძოლო დანიშნულების ტვირთის ტრანზიტზე მოულოდნელი არ ყოფილა. სერგეი ლავროვმა ამ სფეროში აშშ-ს დასახმარებლად მზადყოფნის

შესახებ განცხადება გასულ კვირას გააკეთა.

ლავროვის გამოსვლას წინ უძღოდა ყირგიზეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილება მანასში მდებარე ამერიკული ავიაბაზის გაუქმების შესახებ. რაც, შეიძლება ითქვას, ფინანსური და ენერგეტიკული პრობლემების მქონე ქვეყანაზე რუსეთის გავლენის დამსახურება იყო.

**"რამდენიმე დღის წინ ამერიკამ მოგვართა თხოვნით, გავუწიეთ მათ დახმარება, რომელიც გასული წლის აპრილში გაფორმებულ დოკუმენტშია გათვალისწინებული. კონკრეტულად კი, გავატაროთ საერთაშორისო ძალების არასაბრძოლო დანიშნულების ტვირთი ჩვენს ტერიტორიაზე."** განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა. მისივე თქმით, რუსული უწყება ამ თხოვნას ზუსტად 24 საათში დათანხმდა.

რუსეთი უკვე დიდი ხანია, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ავღანეთის საკითხში თანამშრომლობს, რაც იმაში გამოხატება, რომ რუსეთი ნატოს და მის მოკავშირეებს თავისი საჰაერო სივრცის სამხედრო შენაერთების პირადი შემადგენლობის გადასაცემად და საბრძოლო დანიშნულების სხვადასხვა სახის ტვირთი გადასაზიდვად გამოყენების უფ-

ლებას აძლევს.

ავღანეთში ჩასატანი ტვირთის ტრანზიტის არ არის ერთადერთი საკითხი, რაზეც აშშ და რუსეთი უნდა შეთანხმდნენ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ამჟამად აშშ-ში რუსეთთან სხვა სფეროში თანამშრომლობის სქემებიც მუშავდება.

მხარეები აპრილში დმიტრი მედვედევისა და ბარაკ ობამას შეხვედრას გეგმავენ. შეხვედრაზე პრეზიდენტები, საგარეუდოდ, კორუფციასთან ბრძოლაზე იმსჯელებენ და იმ შემთხვევაში, თუ ამ საკითხზე ხელშეკრულება გაფორმდება, შესაძლოა, ეს იყოს პირველი დოკუმენტი, რომელიც კრემლსა და თეთრი სახლის ახალ ადმინისტრაციას დააახლოვებს.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დიპლომატები პრეზიდენტების შეხვედრისთვის საგანგებოდ არჩევენ ისეთ თემებს, რომლებზეც მხარეები ადვილად შეთანხმდებიან. ერთ-ერთი ასეთი საკითხი - ბირთვული განიარაღება - მოსკოვმა დიდი ენთუზიაზმით მიიღო. თუმცა თეთრ სახლში კარგად ესმით, რომ აპრილამდე დიპლომატები ბირთვული განიარაღების შესახებ სერიოზული დოკუმენტის მომზადებას ვერ მოასწრებენ.

## რუსეთი სამხედრო ხარჯების შემცირებას არ აპირებს

ფინანსური კრიზისი რუსეთის სამხედრო ძალების შეიარაღების პროცესში კორექტივებს არ შეიტანს. ამის შესახებ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა სამხედრო ინსტრუქტორებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. ვლადიმერ პუტინის განმარტებით, რუსეთის შეიარაღებისა და ტექნიკის მოდერნიზაციისთვის 2009 წელს მილიარდ 300 ათასი რუბლი გამოიყოფა. 2011 წლამდე კი, ამ მიზნებისთვის 4 მილიარდი რუბლი დაიხარჯება.

ჯი-ეიჩ-ენი

## რუსული კოსმოსური აპარატი სამხედრო მიზნებისთვის იყო განკუთვნილი

რუსული კოსმოსური აპარატი, რომელიც ამერიკულ კოსმოსურ აპარატს შეეჯახა, სამხედრო თანამგზავრი იყო, - ასეთი განცხადება კოსმოსური ძალების ხელმძღვანელმა, რუსეთის ჯარების გენერალ-მაიორმა ალექსანდრ იაკუშინმა გააკეთა. მან დაადასტურა, რომ რუსული სამხედრო დანიშნულების აპარატი "კოსმოს-2251"-ის თანამგზავრი იყო, რომელიც ორბიტაზე 1993 წელს გაიგზავნა, თუმცა ის რუსეთის ორბიტის დაჯგუფებებიდან ამოღების შემდეგ აღარ გამოუყენებიათ. იაკუშინის განცხადებით, აპარატის ნარჩენები 500 და 1300 კილომეტრამდე სიმაღლეში გაიფანტა, რაც საერთაშორისო კოსმოსური სადგურის უსაფრთხოებას საშიშროებას არ შეუქმნის. შეჯახება მოსკოვის დროით 19:56 საათზე ციმბირის ტერიტორიაზე მოხდა. ამერიკის კოსმოსური სააგენტო "ნასას" მონაცემებით, რუსული თანამგზავრი ამერიკის კომერციული სატელიტური კომპანიის თანამგზავრს შეეჯახა.

ჯი-ეიჩ-ენი

## ირანს ურანის მარაგი ეწურება

ბრიტანული გამოცემა "ტაიმსის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ირანს ურანის მარაგი ეწურება და მხოლოდ რამდენიმე თვეს ეყოფა. დიდმა ბრიტანეთმა თხოვნით უკვე მიმართა უზბეკეთს, ყაზახეთსა და ბრაზილიას, რომლებიც ურანის საბადოებს ფლობენ - არ დაუშვან ირანში ურანის გადგზავნის მცდელობა. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, "ტაიმსის" ინფორმაცია ჭორებს ეფუძნება და სინამდვილეს არ შეესაბამება. იგი ასევე გამოეხმაურა ბარაკ ობამას განცხადებას აჰმადინეჯადთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ და აღნიშნა, რომ თეირანს აშშ-სთან ურთიერთობის კარდინალური ცვლილებების იმედი აქვს, თუკი დიალოგი "ურთიერთთავატივისცემასა და თანასწორობას" დაემყარება. თეირანს ამერიკისთვის აღარ მოუთხოვია ბოდიშის მოხდა ირანის მიმართ მრავალწლიანი უსამართლო დამოკიდებულების გამო.

ჯი-ეიჩ-ენი

## რუსეთი უახლოეს მომავალში ყაზახეთში შაერსანინალმდგეო თავდაცვის სისტემას 4-300 განათავსებს

ქვეყანაში აკრედიტებული სამხედრო-დიპლომატიური კორპუსისთვის გამართულ ბრიფინგზე ყაზახეთის თავდაცვის მინისტრ დანიელ ახმეტოვის განცხადებით, რუსეთი უახლოეს მომავალში ყაზახეთში შაერსანინალმდგეო თავდაცვის სისტემას 4-300 განათავსებს. ახმეტოვს არ დაუკონკრეტებია, რა რაოდენობის სისტემის განთავსებას აპირებს მოსკოვი ყაზახეთში, ასევე არც ზუსტი დრო და პირობები დაუსახელებია. მისი თქმით, საუბარია "დივიზიური სისტემის C-300-ის სერიოზულ რაოდენობაზე". ამასთან, ახმეტოვის შეფასებით, "ეს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში ინტეგრაციას გაამყარებს და რესპუბლიკას საჰაერო სისტემის დაცვის საშუალებას მისცემს".

პირველი

## ვაშინგტონი და რუსეთი ორმხრივი თანამშრომლობის ახალ მექანიზმს ქმნიან

ვაშინგტონი და რუსეთი ორმხრივი თანამშრომლობის ახალ მექანიზმს ქმნიან, - ნათქვამია "ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებულ მეთერთეული მტატების ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენთან ინტერვიუში. ბაიდენის განმარტებით, რუსეთ-ამერიკის დიალოგის ინსტიტუციონალიზაციის კონკრეტულ ფორმაზე გადაწყვეტილება მიღებული ჯერ არ არის. თეთრი სახლის ადმინისტრაციამ განმარტავს, რომ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში მთავარი პასუხისმგებლობის ბაიდენისათვის დაკისრების იდეა განიხილება. ბაიდენმა "ვაშინგტონ პოსტს" განუცხადა, რომ რუსეთის პრემიერ სერგეი ივანოვთან მიუხედავად კონფერენციის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე ირანის, ავღანეთისა და ატომური იარაღის შესახებ საკმაოდ კონკრეტული საკითხები განიხილეს.

ჯი-ეიჩ-ენი

# შტაბსა "ჰამასის" შტაბზე

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების იერიში



ლაზას სექტორში ისრაელმა კიდევ ერთი შეტევა განახორციელა.

### სამხრეთი ჰამასი

ისრაელის საპარლამენტო არჩევნებიდან მეორე დღეს, ხუთშაბათს შუალამისას, ოფიციალური თელ-ავივის სამხედრო-საჰაერო ძალებმა, მათი ტერიტორიის ნალმტყორცნებით დაბომბვის საპასუხოდ, სარაკეტო იერიში მიიტანეს ლაზას სექტორში რადიკალური მოძრაობა "ჰამასის" სამეთაურო ცენტრზე. აღნიშნულ ინფორმაციას "ნიუსრუ ისრაელი" პალესტინურ წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს.

აღნიშნული წყაროს თანახმად, ისრაელის სამხედრო ვერტმფრენებმა ორი რაკეტა ანკლავის

სამხრეთით ქალაქ ხან-იუნისში მდებარე "ჰამასის" შტაბინას ესროლეს. სამიზნე განადგურებულია, ხოლო დაშავებულთა შესახებ ცნობები არ ვრცელდება, რადგან რადიკალური მოძრაობის ბოევიკებმა თავშესაფარში გაქცევა მოასწრეს.

ისრაელის სამხედრო სფეროს მაღალჩინოსანთა განცხადებით, ლაზას სექტორში სამიზნეებზე დარტყმები მანამდე გაგრძელდება, ვიდრე პალესტინელი ბოევიკები რაკეტებითა და ნალმტყორცნებით ისრაელის ტერიტორიის დაბომბვას არ შეწყვეტენ.

"ინტერფაქსის" ცნობით, რომელიც ისრაელის რადიოს მონაცემებს ეყრდნობა, ის-

რაელის საელჩო და არმია ლიბანში მოქმედი შიიტური მოძრაობა "ჰეზბოლას" წევრების მხრიდან ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარზე სავარაუდო თავდასხმისთვის ემზადება, რაც მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, იმად მუგნიის მკვლელობის წლისთავს უკავშირდება.

ცოტა ხნით ადრე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისრაელის შტაბმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ "ჰეზბოლას" ბოევიკები ერთ-ერთი თავისი ლიდერის გარდაცვალების წლისთავის აღნიშვნას ებრუნებულან თავდასხმით აპირებდნენ - როგორც ისრაელის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგ-

ლებს გარეთ. ამავდროულად, ისრაელის სპეცსამსახურების ცნობებით, "ჰეზბოლას" წევრებს საპასუხო ზომებიც აფიქრებთ, ამიტომ "თავდასხმამდე კიდევ კარგად აწონ-დანონიან გადაწყვეტილებას."

ისრაელის მხარე უარყოფს მუგნიის მკვლელობაში მონაწილეობას, რომელიც 2008 წლის 12 თებერვალს დამასკოში საკუთარ ავტომობილში აფეთქებას ემსხვერპლა. ამის მიუხედავად, ისრაელის სპეცსამსახურების წყაროს ინფორმაციით, "ჰეზბოლას" წევრები მაინც დარწმუნებულნი არიან ისრაელის ბრალეულობაში და სამაგიეროს გადახდას ფიქრობენ.



### ნატო-სთვის რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობების განმტკიცება აუცილებელია

კონგრესმენების მიერ კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში შეტანილი რეზოლუციის თანახმად, ოფიციალური ვაშინგტონი მიიჩნევს, რომ რუსეთი გრძელვადიანი მშვიდობის მშენებლობაში მნიშვნელოვანი პარტნიორია და ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის მასთან პარტნიორული ურთიერთობების განმტკიცება აუცილებელია. "ნატო, გადაწყვეტილებების მიღების უფლების შენარჩუნებით, უნდა ისწრაფოდეს რუსეთთან ურთიერთობების განმტკიცებისთვის, რომელიც ევროატლანტიკურ რეგიონში გრძელვადიანი მშვიდობის მშენებლობაში მნიშვნელოვანი პარტნიორია," - ნათქვამია 6-გვერდიან დოკუმენტში. რეზოლუციაში, რომელიც კონგრესში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით არის შეტანილი, ასევე აღნიშნულია, რომ "აშშ ნატო-ს ერთგული რჩება." "აპრილში სტრასბურგსა და კელში დაგეგმილ სამიტებზე ალიანსმა უნდა დაიწყოს ნატო-ს ახალი სტრატეგიული კონცეფციის განხილვა, მათ შორის, ალიანსის ქმედებების ტრადიციული ზონის ფარგლებს გარეთ "ახალი რეგიონების" განსაზღვრა, სადაც ნატო-ს შეუძლია მომავალი საფრთხეების აღმოფხვრას ხელი შეუწყოს," - ნათქვამია რეზოლუციაში.

პირველი

### თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აბდულა გიული რუსეთში ოფიციალურ ვიზიტს იწყებს

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აბდულა გიულის ოფიციალური ვიზიტი რუსეთის ფედერაციაში 12 თებერვალს დაიწყო. კრემლის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თურქეთის პრეზიდენტი მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის მოწვევით იმყოფება. აბდულა გიულის ვიზიტი მოსკოვში 15 თებერვლამდე გაგრძელდება. კრემლის პრესსამსახური ასევე იუწყება, რომ თურქეთისა და რუსეთის პრეზიდენტების მოლაპარაკებები დღეისთვისა და დაიწყო. "შეხვედრის დღის წესრიგი ძალიან დატვირთულია და საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავს," - აღნიშნავენ კრემლში. აბდულა გიული მოსკოვში ვიზიტის ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს რუსეთ-თურქეთის ბიზნესფორუმში. იგი ყაზანის მონახულებასა და თათრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან შეხვედრასაც აპირებს.

ჯი-ეიჩ-ენი

### ინდონეზიაში ძლიერი მიწისძვრა მოხდა

ინდონეზიაში, კუნძულ სულავესის ჩრდილო-დასავლეთით რიხტერის სკალით 7,5-ბალიანი მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ მანადოდან 327 კილომეტრში მდებარეობდა. მიწისძვრის გამო ინდონეზიის გეოლოგიურმა და გეოფიზიკურმა სააგენტოებმა ზვირთცემის საშიშროების შესახებ გააკეთეს განცხადება, თუმცა განგაში მალევე მოიხსნა. ძლიერი მიწისქვეშა ბიძგები ტალღის კუნძულებზეც იგრძნობოდა. ინფორმაცია მსხვერპლის ან ნგრევის შესახებ არ გავრცელებულა.

მედანიუსი


### რუსეთის ხელისუფლება კორუფციის მაღალ დონეზე ალაპარაკდა

რუსეთის ხელისუფლება კორუფციის მაღალ დონეზე ალაპარაკდა. როგორც რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, კორუფციის დონე ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტს ლახავს და ეროვნულ უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის. "კორუფციის დონე სერიოზულ შემფოთებას იწვევს რუსულ საზოგადოებაში, საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყანას უარყოფით იმიჯს უქმნის და სამართლიანად განიხილება გამოწვევად ეროვნული უსაფრთხოებისთვის," - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის კადრებისა და სახელმწიფო ჯილდოების განყოფილების ხელმძღვანელმა ვლადიმერ ოსიპოვმა. მისივე თქმით, გასული წლის შედეგების მიხედვით, სახელმწიფო სამსახურებისა და სახელმწიფო ინტერესთა წინააღმდეგ დანაშაულთა რაოდენობამ 13 პროცენტით მოიმატა. "კორუმპირებულ ჩინოვნიკთა რაოდენობამ 2008 წელს 41 ათასს მიაღწია. მაღალჩინოსნებს შორის მექრთამეობის შემთხვევებმა 7 პროცენტით მოიმატა," - განაცხადა ოსიპოვმა.

პირველი

# პაკისტანი: მსოფლიო ტერორიზმის აპიკანტი

მუშაზე თავდასხმა პაკისტანში დაიგეგმა



პაკისტანის შინაგან საქმეთა მინისტრმა საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ "თავდასხმის ნაწილი მართლაც პაკისტანში იყო დაგეგმილი."

### მარია იაშვილი

მუშაის ტერაქტი პაკისტანში დაიგეგმა, - ოფიციალურმა ისლამაბადმა აღიარა, რომ ინდოეთის ქალაქ მუმბაიზე მომხდარი თავდასხმა ნაწილობრივ პაკისტანის ტერიტორიაზე მომზადდა. ეს ისლამაბადის ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლის მხრიდან გაკეთებული პირველი აღიარებაა, რომელიც გასულ წელს მომხდარ თავდასხმებს შეეხება.

პაკისტანის შინაგან საქმეთა მინისტრის თავაყმა რეხან მალიქმა განაცხადა, რომ ტერორისტული აქტში მონაწილეობა ღიად ნაწილი უკვე დაკავებულია და მათზე სისხლის სამართლის საქმეც აღიჭრება.

თუმცა ამ აღიარებებს წინ ისლამაბადის მხრიდან სულ სხვაგვარი განცხადებები უძღოდა. კონკრეტულად, მალიქი ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში აცხადებდა, რომ არ იზარებს შეხედულებას, თითქოს აფეთქებები

პაკისტანელთა ხელისუფლებას დაარსის გამოცხადება, ტერაქტები სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დაეგეგმა.

თებერვლიდან ამ საკითხისადმი პაკისტანის შინაგან საქმეთა მინისტროს დამოკიდებულება შეიცვალა და ისინი სამიზნეობა ალაპარაკდნენ.

მალიქის განცხადებით, გამოძიებებმა იმ ნაგის ძრავი აღმოაჩინეს, რომელსაც თავდასხმელები მუმბაიში იყენებდნენ. გარდა ამისა, მათ იპოვეს ტერორისტების ორი საილუმლო სამალავიც.

თავდასხმის შედეგად, რომელიც მუმბაიში გასული წლის ნოემბრის ბოლოს გამოხატულა, 180-მდე ადამიანი დაიღუპა, ხოლო 300-მდე დაზარადა. ინდოეთის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ტერაქტში მონაწილე ათივე ბოქსი პაკისტანის მოქალაქე იყო. ამ ფაქტმა ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბულობა კიდევ უფრო გააღრმავა.

თავდასხმა მუმბაიზე 2008 წლის ნოემბრის ბოლოს მოხდა და უკვე 27 ნოემბერს ინდოეთის ხელისუფლებამ მომზ-

დარი ბრალი პაკისტანელებს დასდო.

პაკისტანის შინაგან საქმეთა მინისტრმა საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ "თავდასხმის ნაწილი მართლაც პაკისტანში იყო დაგეგმილი."

მუმბაის თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ინდოეთმა ტერორისტულ დაჯგუფება "ლაქარ-ე-თაიბას" დააკისრა და მოითხოვა, რომ მათ თავიანთი რამდენიმე ლიდერი ინდოეთის ხელისუფლებას გადასცენ.

ინდოეთის ხელისუფლების წარმომადგენლები იმასაც ამბობდნენ, რომ თავდასხმაში პაკისტანის "სახელისუფლებო ელემენტებიც" მონაწილეობდნენ.

თუმცა ისლამაბადი ოფიციალური დღის ამ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. ინდოეთმა ნიანგარს პაკისტანის ხელისუფლებას დოსიე გადასცა, რომელიც, დღის განცხადებით, ბრალდების დაამტკიცებელი საბუთებია მოყვანილი.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა მანმოჰან სინგმა და თავდაცვის მინისტ-

რმა არაკაპარაბილ კუროან ენტონიმ კი პაკისტანი მსოფლიო ტერორიზმის ეპიცენტრად მოხსენეს.

ინგარში პაკისტანმა განაცხადა, რომ რეილების შედეგად 71 ადამიანი დააკავა იმ დაჯგუფებებიდან, რომლებიც, სავარაუდოდ, მონაწილეობდნენ თავდასხმაში.

თავდაცვის მინისტრ რახმან მალიქის განცხადებით, ხელისუფლებამ რამდენიმე რეგონული სკოლა დახურა, რომლებიც ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაციის ვეგლით მუმბაიში დახურვის მიზეზი კი გახდა ამ საქველმოქმედო ორგანიზაციის კავშირი დაჯგუფება "ლაქარ-ე-თაიბასთან".

მალიქის განცხადებით, პაკისტანი მთელი სერიოზულობით აპირებს ტერორიზმთან ბრძოლას, მაგრამ ამისთვის ინდოეთმა მას დამატებითი, ამომწურავი ინფორმაცია უნდა გადასცეს. ეს კი, თავის მხრივ, ისლამაბადს საშუალებას მისცემს, მუმბაის აფეთქებებში მონაწილეთა საქმე სასამართლოს გადასცეს.

# შეტაკება ნაზრანში

ბოევიკებისა და ომონის ძალების დაპირისპირება

ინგუშეთის დედაქალაქში ბოევიკებისა და ომონის ძალების შეტაკებას მსხვერპლი ორივე მხრიდან მოჰყვა. გავრცელებული ცნობებით, დაღუპულია ოთხი სპეცრაზმელი და ორი ბოევიკი. დაპირისპირება ნაზრანში სპეცოპერაციას მოჰყვა, რომელიც ხუთშაბათს დილით დაიწყო. ინგუშეთის პროკურორი იური ტურიგინის თქმით, რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების ამოცანა ერთ-ერთი ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკიდან გადასული სამი პირის მოძიება-დაკავება იყო.

"აღნიშნული სამი პირი - ერთი ქალი და ორიც მამაკაცი ინგუშეთში ტერაქტების მოსაწყობად იყო გამოგზავნილი," - გან-

ნაცხადა პროკურორმა.

იური ტურიგინის ხელთ არსებული ცნობებით, ნაზრანში ერთი კერძო საცხოვრებელი სახლის შემოწმებისას მილიციის თანამშრომლების მისამართით ხელყუმბარებითა და ავტომატური იარაღის გამოყენებით ცეცხლი გაიხსნა.

ორმხრივი სროლის დროს კი ბოევიკებმა ფუგასური ნაღმიც მოიყვანეს მოქმედებაში, რომლის სიმძლავრეც, ზედაპირული შეფასებით, რამდენიმე ასეული კილოგრამი ტროტილით იყო გამოწვეული.

"აფეთქების შედეგად მილიციის სამი თანამშრომელი ადგილზე დაიღუპა, მეოთხე კი საა-

ვადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა. აფეთქებამ დაანგრია სახლიც, რომელსაც თავს ბოევიკები აფარებდნენ. ჯერჯერობით ადგილზე აღმოჩენილია მხოლოდ ორი ბოროტმოქმედის გვამი, რომელთა ვინაობის დადგენაც მიმდინარეობს," - აღნიშნა ინგუშეთის პროკურორმა.

თუმცა, ოფიციალური ვერსიის გამოცხადებამდე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბოევიკებთან შეტაკებისას დაიღუპა ომონის ოთხი თანამშრომელი მურმანის ოლქიდან, ხოლო სამი დაიჭრა.

შემთხვევის ადგილი ალყაშემორტყმული იყო, ადგილზე მძიმე ჯავშანტექნიკის და ძალოვანი

სტრუქტურების დამატებითი ძალების კონცენტრირება მოხდა, მანამდე კი ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაცია განხორციელდა.

ორმხრივი სროლის დასრულების შემდეგ ადგილზე გამანღმეველები და გამოძიებლები შეუდგნენ მუმბაიას.

ბოლო ხანს ინგუშეთში საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი. ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე კვლავ ერთ-ერთ "ცხელ წერტილად" იქცა. ინგუშეთში თითქმის ყოველდღე ვრცელდება ცნობები სროლების, აფეთქებებისა და ხელისუფლებისა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებზე თავდასხმების შესახებ.



# რევიუ



It's hard not to fall in love....  
Remember 14th Feb.

მსოფლიო სიყვარულის დღის, ვალენტინობისთვის ემზადება. ამ დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყანაში უამრავი ღონისძიება და აქცია იმართება. ეს ბილბორდი ინდოეთის ქუჩებში გამოფინეს, წარწერა კი გვახსენებს, რომ შეყვარება არც ისე ძნელია... ნუ დაივიწყებთ საყვარელი ადამიანებისთვის ამ დღის მოლოცვას და ნურც თბილი მუსიკის გაგზავნა დაგავიწყდებათ.

## ცხენის ბიზანტური ქანდაკება კენტში

გიგანტური თეთრი ცხენის ქანდაკებამ ბრიტანული კონკურსის არტ-პროექტში Ebbsfleet Landmark Project გაიმარჯვა. კენტში ცხენის ქანდაკების დადგმის იდეა, რომელიც რეალურ ცხოველზე 33-ჯერ უფრო დიდი იქნება, მარკ უოლინჯერს ეკუთვნის.

კონკურსში გამარჯვებული გიგანტური ცხოველის გაკეთება 2 მილიონი ფუნტი (დაახლოებით 3 მილიონი დოლარი) დაჯდება. თეთრი ცხენი ასეულობით წლების განმავლობაში კენტის საგრაფოს სიმბოლოდ ითვლებოდა და ადგილობრივი საბჭოს ემბლემად გამოიყენებოდა. უზარმაზარი ქანდაკება ხმელეთიდან 50 მეტრის სიღრმეზე იქნება აღმართული - დაახლოებით იგივე სიმაღლეზე დგას ლონდონში ტრაფალგარის მოედნაზე ადმირალ ნელსონის ქანდაკება. გიგანტური ცხენი ებსფლიტის

საერთაშორისო რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის ვიზუალურად გამომხატველი ქანდაკება იქნება, რომელზეც Eurostar-ის ჩქაროსნული მატარებლები გადიან. იდეას, რომელსაც უიურიმ მხატვრების დენიელ ბურენისა და რიჩარდ დიკონის ნამუშევრებისგან განსხვავებით უპირატესობა მიანიჭა, თავად უოლინჯერმა "დაუჯერებლად მთავონებული პროექტი" უწოდა. ვიქტორ პომერის განცხადებით, განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი დონის ნამუშევრის წარდგენისთვის Ebbsfleet Landmark Project-ის მთავარმა უიურიმ, უოლინჯერსი კონკურსის გამარჯვებულად დაასახელა. "მარკი - არაჩვეულებრივი და მთელს მსოფლიოში ცნობილი მხატვარია. დარწმუნებული ვარ, რომ მისი ქანდაკება ებსფლიტისა და მთელი რეგიონის ნამდვილ ღირსშესანიშნა-



ობად იქცევა", - აღნიშნავს პომერი. პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე და ენტონი გორმლის "წრდილოეთის ანგელოზის" გიგანტური ქანდაკების ანალოგიისთვის, უოლინჯერს უკვე "სამხრეთის ანგელოზს" ეძახიან. კონკურსის ორგანიზატორები, რომლებიც Eurostar-სა და ბრიტანეთის საერთაშორისო რკინიგზის სადგურის კომპანია London&Continental Railways მთლიანად აფინანსებენ, იმედოვნებენ, რომ კრიზისის მიუხედავად უოლინჯერის ოლიმპიადისთვის უკვე მზად იქნება. ამის მიუხედავად, არტ-პროექტ Ebbsfleet Landmark Project-ის მენეჯერი მარკ დევი გამოტყდა, რომ დაფინანსებამ მოკლევადიანი პერსპექტივით შესაძლოა პრობლემები წარმოქმნას.



**კომენტარები მთავარზე**



# ამ ერთხელ მაინც მამღერა

ლაშა ბუღაძე

ვგრძნობ, წინ დიდი სჯა-ბაასი და ნერვიულობები გველის: მსჯელობა მოგვიწევს, უნდა წავიდნენ თუ არა ჩვენი მომღერლები ევრო-ვიზიის მორიგ მუს-კონკურსზე, რომელიც მოსკოვში ტარდება?

უკვე ჟურნალისტებიც კი შემეხმებინან ამის თაობაზე.

"რას იტყვი, - მკითხეს მათ, - უნდა ვიმღეროთ მტრების ქალაქში თუ არა?"

ჟურნალისტებმა იციან, რომ რუსეთი მტერია, რომ ეროვნული სიმტკიცის გამოჩენა საჭირო, მაგრამ ხმის ტემპრით, ტონით და გამომეტყველებით საპირისპიროს გამოხატავენ: ეტყობათ, რომ ევროვიზიები, იურმალები და მისთანანი ყველაფერს ურჩევნიათ ამ ქვეყნად. დიახ, ჩვენ, ტელე-სახეები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, მღვდლები და, ალბათ, პრეზიდენტიც, ხმამაღლა დაგვყვივლებთ: "რა უნდათ ჩვენს მომღერლებს მოსკოვში, ჯერ ტანკები გაიყვანონ!" - მაგრამ თუკი მაინც მოხდება და ჩვენი მოცეკვავე-მომღერალი გოგო-ბიჭები მოსკოვურ ევრო-ვიზიაზე აღმოჩნდებიან, ყველაფერს დავიწყებთ, ტელევიზორებს მივწვებებით, ქალაქში დიდ ეკრანებს დავდგამთ, ქუჩებს გადავკეტავთ და პერეზზე, ახალგორზე და აფხაზეთოსეთზე დარდს ამ საერთო-საყოველთაო ტელე-შოუს ცქერაში ჩავიკლავთ...

ხომ გახსოვთ, იურმალას (როგორ მეზიზღება ეს ქალაქ-დაბა!) მუს-კონკურსის ყურებისას რა დაგვემართა? სრულიად დაუკარგეთ ადამიანური სახე! ავირიეთ და ავფოფინდით, ვეღარ გავიგეთ, რას გვიმზადებდნენ რუსები, გვამარჯვებინებდნენ თუ საქმეს გვიფუჭებდნენ! მოკლედ, უნდა გვექო თუ გველანძღა ეს ხალხი?!

"პრეზიდენტი მიმესიჯება," - ლელავდა მოქ. გოგორიშვილი, "პატრიარქი გვლოცავს!" - გაიძახოდნენ აგზნებული ქართველი კონკურსანტები, "ქუჩები გადავკეტოთ, ერთად ვუყუროთ იურმალას ფინალს!" - მოგვინოდებდა მოქ. სუბელიანი თუ ვიღაც სხვა. ჩემი აზრით, პირველი, გამძლე ჯაჭვი მაშინ წარმოიშვა თბილისის ქუჩებში... სრული ისტერია იყო, ერთი სიტყვით.

ხოდა, ახლაც, ვფიქრობ, რომ სულ სხვაგვარად უნდა დაისვას შეკითხვა. ასე კი არა, უნდა წავიდნენ თუ არა მოსკოვში ჩვენი მომღერლები, არამედ ასე: როგორ ქვეყანაში გვინდა, მეგობრებო, ცხოვრება? ეს შეკითხვა ადრეც დამისვამს და როგორც ვატყობ მომვალშიც არაერთხელ დავსვამ.

იქნებ მოგვწონს ეს რუსეთი? რას გადავვიკიდეთ ამ დასავლეთს! თუ ისიც გვინდა და ესეც? მაგრამ რომ არ გამოდის ორივე ერთად? თეორიულად კი მოგვწონს ევროპული ფასეულობები, მაგრამ სინამდვილეში ხომ ისეთივე განუვითარებლები ვართ მოქალაქეობრივად, როგორც რუსები! ოღონდ ჩვენ კიდევ ერთი უბედურება გვჭირს მათგან განსხვავებით: არათანმიმდევრულებიც ვართ!

დიახ, თეორიულად ყველას გვინდა იდეალურ ქვეყანაში ცხოვრება, მაგრამ, ღმერთო, ნეტავ ჩამოგვყავალიბებინა, როგორია ეს "იდეალური ქვეყანა"?

წითელზე გაჩერდებით იმ "იდეალურ ქვეყანაში"?

# პეიზაჟები რაჭიდან

სამხატვრო აკადემიის სტუდენტების მორიგი გამოფენა "ვერნისაჟში"

აკა აიკვანიძე

უკვე მეოთხე წელია, რაც სამხატვრო აკადემიის სტუდენტები ყოველ ზაფხულს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დადიან და თავის ნამუშევრებში ამა თუ იმ კუთხის ბუნებას და თავისებურებებს ასახავენ. პირველ წელს სტუდენტები პრაქტიკების სახით ახალციხეს ესტუმრნენ, სადაც დაახლოებით ერთი თვე დარჩნენ და თბილისში უამრავი ნამუშევარი ჩამოიტანეს, მეორე წელს გუდამაყარს ორი კვირით ესტუმრნენ, შემდეგ კახეთს და წელს რაჭის ბუნებისკენ გაექცათ თვალთ. პრაქტიკებიდან დაბრუნებული სტუდენტები ყოველ წელს საქართველოს ამა თუ იმ კუთხის სურათებს სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში გამოფენდნენ. სტუდენტთა დიდი რაოდენობის ჯგუფი წლების განმავლობაში ნელ-ნელა შეცოცხდა და შეიდეკაციანმა ჯგუფმა წელს განსაკუთრებული სახით - გალერეა "ვერნისაჟში" წარმოვიდგინა "რაჭის პეიზაჟები". "ბუნებას და კომპოზიციას ყოველ წელს სხვანაირად აღვიქვამთ და სხვადასხვანაირად ვხატავთ. ამა თუ იმ კუთხეში ყოველწლიურად ახალ-ახალ რადაცეებს აღმოვა-



ჩენთ ხოლმე და ამით საკმაოდ დიდ პრაქტიკასა და გამოცდილებას ვიღებთ", - გამოფენის ერთ-ერთი მონაწილე მედეა მახანიშვილი.

გუმინ, გალერეა "ვერნისაჟში" გახსნილ გამოფენაზე "რაჭის პეიზაჟების" დაახლოებით 22 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. გამოფენის შვიდი მონაწილედან თითოეული მათგანი უკვე პროფესიონალი მხატვარია და უამრავი ჯგუფური თუ პერსონალური გამოფენაც აქვთ გამართული. გამოფენის შედარებით დიდი მონაწილე 40 წლის გოგი ხახუტაშვი-

ლია. 1986-1994 წლებში იგი თბილისის სახელობის სამხატვრო აკადემიაში დაზგური ფერწერის ფაკულტეტზე სწავლობდა. გამართული აქვს რამდენიმე პერსონალური გამოფენა თბილისის სხვადასხვა გალერეებში, 1998 წელს მონაწილეობა მიიღო საფრანგეთში, ქალაქ დიჟონში გამართულ ჯგუფურ გამოფენაში. მისი ნამუშევრები კერძო კოლექციებშია შენახული, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. არანაკლები წარმატებით სარგებლობს გამოფენის შემდეგი მონაწილე მედეა მახანიშვილი.

# ესპანური სამკუთხედი

უდი ალენის ვიკი კრისტინა ბარსელონა ამირანში გამოდის

ია ვეკუა

სასიყვარულო სამკუთხედი სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც არავინაა ბოლომდე ბედნიერი - ბარსელონაშიც კი, მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს, ტემპერამენტულ და თითქოს სასიყვარულო ურთიერთობებისთვის შექმნილ ქალაქში. ამჯერად სიყვარულის სირთულეების გაკვეთილებს უდი ალენი თავის ბოლო ფილმში ვიკი კრისტინა ბარსელონა გვიტარებს, მისი ნახვა კი კინოთეატრ ამირანში დღეიდან შეგიძლიათ. ფილმის პრემიერამდე კი კომპანია სვაროვსკის თბილისის წარმომადგენლობა ვალენტინობისადმი მიძღვნილ საღამოს უმასპინძლებს.

რაც შეეხება უდი ალენის ფილმს, როგორც უკვე გითხარით, იგი კლასიკური, თუმცა ფილმის მსვლელობისას არატრადიციულად ქცეულ სასიყვარულო სამკუთხედს ქმნის. ყველაფერი თითქოს მარტივად იწყება - ორი ამერიკელი გოგონა დასასვენებლად ბარსელონაში ჩადის და თითქმის პირველივე დღეს ხდებიან საკურორტო რომანის მთავარი გმირები. ისინი დიდი ხნის მეგობრები არიან, მაგრამ როგორც საუკეთესო მეგობრების შემთხვევაში ხდება ხოლმე, ორივე რადიკალურად განსხვავებულია, როგორც გარეგნულად, ისე ოცნებებითა და სურვილებით. სწორედ ამიტომ მათი დამაკავშირებელი სამკუთხედი ფილმის განმავლობაში მრავალჯერ იცვლის ფორმასა და მასშტაბს.

კრისტინა ჰოლის პერონაჟი ვიკი ჭკვიანი გოგონების კატეგორიას განეკუთვნება. ის თადაჯერებულია, საქმროს ერთგულია, ფიქრობს თავის მომავალ ქორწილზე და მომავალ ცხოვრებაზე მონესრიგებულ და პერსპექტიულ ახალგაზრდა მამაკაცთან. შეიძლება ითქვას, რომ ის გარემოების მსხვერპლია, რად-



გან მხოლოდ ერთხელ დაუშვა შეცდომა, როდესაც ესპანელი ცხელსისხლიანი მარს ნინაშე ნამიერი ქალური სისუსტე გამოავლინა. მისგან რადიკალურად განსხვავდება კრისტინა - უდი ალენის უკანასკნელი წლების მუზა სკარლეტ იოჰანსონის შესრულებით. ის ესპანეთში მხოლოდ და მხოლოდ თავგადასავლის საძიებლად ჩამოსული, ამიტომ ადვილად თანხმდება ერთი შეხედვით მეტად თავხედურ წინადადებას - მეგობართან ერთად სრულიად უცხო მამაკაცთან სიყვარულით დაკავდეს.

თუმცა აქ კრისტინას გაგებაც შეიძლება, ეს სრულიად უცნობი მამაკაცი ხომ ხაიერ ბარდემის პერონაჟი ხუანია - თითქოს ველური გარეგნობის, მაგრამ ამავდროულად საშინლად მომხიბლავი და დელიკატური. ხუანს სულაც არ აქვს განზრახული გოგონების ლოგინში ძალით შეტყუება და მათი სხვადასხვა სექსუალური მეთოდით გარყვნა - ის მხოლოდ სთავაზობს, არჩევანის გაკეთება კი მათი პრეროგატივაა. მიუხედავად იმისა, რომ

ვიკი ამ გართობის სასტიკი ნინა-აღმდეგია, სამკუთხედი ამ ტრიოს შეხვედრის პირველსავე წუთზე იკვრება, ახლა კი მხოლოდ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომელი რომელ კუთხეს დაიკავებს. სწორედ მაშინ, როდესაც ყველაფერი წესრიგშია და სამივემ თავისთვის მისაღები არჩევანი გააკეთა, საიდანაც ცოცხზე შესკუპებული პენელოპა კრუსი შემოვარდება და ყველაფერს ყირამალა აყენებს.

ეს უკანასკნელი წელს ქალის მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის ოსკარზეა ნომინირებული. შეიძლება ითქვას, რომ მას ჯილდოს მიღების დიდი შანსი აქვს, რადგან ხუთიდან რეალური კონკურენტი მხოლოდ ორია - ვიოლა დევისი და ემი ადამსი (ორივე მსახიობი ეჭვში შესრულებული რომელისთვისაა წარდგენილი). კრუსისთვის ეს მეორე ნომინაციაა, 2006 წელს პედრო ალმოდოვარის დაბრუნებისთვის იყო წარდგენილი, მაგრამ ჰელენ მირენისთვის კონკურენცის განევა ვერ შეძლო. მნიშვნელოვანი გამარჯვება აქვს მო-

პოვებული თავად ფილმს - წელს ოქრის გლობუსზე საუკეთესო მიუზიკლისა და კომედიის ნომინაციის ფავორიტი გახდა.

ვიკი კრისტინა ბარსელონათი უდი ალენი დაუბრუნდა თავის საყვარელ სატირის ჟანრს და ნინა პლანზე კვლავ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა გამოიტანა. დაუბრუნა იმიტომ, რომ შარშანდელი კასანდრას ოცნება მისი ალბათ ყველაზე პირქუში და მძიმე ფილმი იყო, რომელიც მაყურებელმაც ასევე მძიმედ მიიღო. მისგან განსხვავებით ვიკი კრისტინა ბარსელონა ნამდვილი ფოიერვერკია, ესპანეთის ულამაზეს ხედებს ულამაზესი მსახიობები ცვლიან, ემოციური ამოფრქვევები კი თითქმის ყველა სცენაში ხდება. ეს არ არის ფილმი მხოლოდ სიტუაციურ კომედიაზე აწყობილი, მდულარე სიყვარულით აღსავსე ადამიანების შესახებ - ეს არის ფილმი არჩევანზე, რომელსაც ამ სამკუთხედის მონაწილეების ცხოვრების შეცვლა შეუძლია.



# მემლიქადის ფიროსმანი

## თურქეთის ქართული დიასპორის გამოცემა საქართველოში გავრცელება

თამარ კიხნავალიძე

გუმინ, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს შექმნიდან წელიწადი შეუსრულდა. ეს თარიღი, სიმბოლურად, თურქეთის ქართული დიასპორის ფურნალის - ფიროსმანი ახალი ნომრის პრეზენტაციით აღინიშნა.

შეხვედრა საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში შედგა, სადაც, ძირითადად, ამ ფურნალის გამოცემის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. აღსანიშნავია, რომ ფიროსმანი, რომელიც თურქეთის ქართველთა კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით გამოიცა.

პრეზიდენტის დადგენილების ამოქმედებიდან, ახლად შექმნილი აპარატმა კვებითი და ამყარა დიასპორის ორგანიზაციებთან, სათვისტომოებთან, კულტურის ცენტრებთან, ეკლესიის მრევლთან და ა.შ. მონაცემთა ბაზის შექმნასთან ერთად, დაიწყო კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება, წამახალისებელი და მხარდაჭერი აქციების ჩატარება, რომელთაგან ყველას ახსოვს საქართველოში გასული წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების მხარდაჭერი აქციები მსოფლიოს 36 ქვეყნიდან - საპროტესტო აქციების კოორდინაცია სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ითავა. ამას მოჰყვა ვიდეოთა საქართველოსთვის და საქართველოს პატრიარქის ინიციატივით განხორციელებული ცოცხალი ჯაჭვი... ამ სტრუქტურამ განახორციელა საქველმოქმედო აქციები იძულებით გადაადგილებულთა დასახმარებლად გერმანიიდან, ამერიკიდან, საბერძნეთიდან, ინგლისიდან... თურქეთის ქართველობამ კი, საგანგებო დახმარების ფორდის შექმნა.

თურქეთში ერთი დიდი საქართველო... ამიტომაც ფურნალ ფიროსმანის გამოცემა დიდი მოვლენაა. ის ორენოვანია და ისეთ სტატუსებს მოიცავს, რომ ყველას დაინტერესებს, ზოგიერთი მათგანი ნოველასავით არის დაწერილი, რასაც ფაქტობრივად ხელი ეტყობა... - აღნიშნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა - იულონ გაგოშიძემ. მან უცხოეთში არსებული ქართული ბეჭდური მედიის როლსა და მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

პრეზენტაციის საპატიო სტუმრები იყვნენ: ფურნალ ფიროსმანის რედაქტორი - ფაქრეთინ ჩილოღლუ (ფარნა ჩილაშვილი) და გამომცემელი - შენოლ ტაბანი, რომლებიც საქართველოში საგანგებოდ ამ შეხვედრისთვის ჩამოვიდნენ.

ამ ფურნალის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვი... ჩვენ იქითა საქართველოს ხალხი ვართ - ოთხი საუკუნის უკან დაკარგული თუ შორს დარჩენილი... მაშინ, ალბათ, ვერც წარმოვიდგენდით თუ საქართველოს საზღვრებს მიღმა დარჩენილი ოდესმე ორენოვან - ქართულ-თურქულ ფურნალს გამოვუშვებდით, ეს მართლაც სა-

**Pirosmani**  
ფიროსმანი

Kafkasy'daki Nasreddin Hoca  
Uzun zaman önce, uzun zaman sonra  
Gürücü şiirinin kraliçesi\* Ana Kalandaze  
Rustaveli ve "Kaplan Postlu Şövalye"si  
Kraliçe Tamar üzerine söyleneler  
Fereydan'da ilk Japon

ხოჯა ნასრედინი კავკასიაში  
დიდი ხნის წინათ და დიდი ხნის შემდეგ  
„ქართული პოეზიის დედოფალი“ - ანა კალანდაძე  
რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“  
თქმულებები თამარ მეფის შესახებ  
პირველი იაპონელი ფერეიდანში

Yaz 2008  
საზღვარი  
2008წ.

Yaz 2008  
საზღვარი  
2008წ.

ოცრება... ფიროსმანი ამ ორი ქვეყნის კულტურის გაცნობას ისახავს მიზნად. მსგავსი პრეზენტაცია თურქეთშიც გვექონდა. დღევანდელი დღიდან კი, ვიმედოვნებთ, ამ ფურნალს საქართველოში ფართოდ გაიცნობენ - ჩვენ თქვენი მხარდაჭერა გვჭირდება! - გვითხრა ფაქრეთინ ჩილოღლუმ.

პრეზენტაციას ესწრებოდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი - ნიკოლოზ რურუა, რომელმაც აღნიშნა: - მაღლობა ჩვენს თანამოძმეებს იმისათვის, რომ ასეთი საჩუქარი გაუკეთეს სამშობლოს და ხალხს. გაცნობებთ, რომ ამ ფურნალს, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში, აღარაფერი ემუქრება, რადგან მის გამოცემაში მონაწილეობას მიიღებს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი, ასევე საქართველოს პარლამენტი. ამ საქმეში უკვე ჩართულია არასამთავრობო სექტორი, კერძოდ საქველმოქმედო ფონდი ერთგულეა, რომელიც არჩილ გვეგნავას ინიციატივით დაფუძნდა. ორენოვანი ფურნალი ფართო მასშტაბზე გათვლილი და ყველასთვის ხელმისაწვდომია. ფიროსმანის გამოცემა, ერთის მხრივ, არის ჩვენი დედა ენის პატივისცემა, მეორეს მხრივ კი, იმ ქვეყნის პატივისცემა, სადაც ის იქმნება.

ნუგზარ ნიკლაური, საქართველოს პარლამენტის წევრი: - ფურნალი ფიროსმანი ქართული დიასპორის გამოცემათა შორის საუკეთესოა, როგორც შინაარსობრივი, ასევე პოლიგრაფიული თვალსაზრისით. ქართული დიასპორა თურქეთში მრავალრიცხოვანია. მე უკვე გავცანი ფურნალის რამდენიმე ნომერს და მიინდა გითხრათ, რომ ზოგიერთი სტატიის კითხვისას თვალზე ცრემლი მომადგა, ასეთია მაგალითად: დილა კურდიკიდის ჩვენი რადიო ქართულად ლაპარაკობს...

ფიროსმანის მნიშვნელობაზე საუბრისას აღმოჩნდა, რომ სულ რამდენიმე წლის წინათ თურქეთში ცხოვრობდნენ იქაური ქართველები, რომლებმაც ელემენტარულიც კი არ იცოდნენ საქართველოს, ქართული კულტურის შესახებ. იქაურ ქართველთაგან, თურმე, ზოგიერთი იმაშიც კი არ იყო გათვისცნობიერებული, რომ მსოფლიოში, მათ გარდა, ქართველები კიდევ არსებობდნენ, მათ საქართველოს სახელმწიფოს შესახებ არაფერი სმენოდათ... ერთადერთი სახელი, რომელიც იქ ყველამ იცის, ეს არის - თამარი... ფურნალის ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ მალე ამ სახელს ფიროსმანიც მიემატება.

ფიროსმანი თურქოლოგებისთვისაც საინტერესოა, სახელმძღვანელოდაც კი გამოდგება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, ფურნალი საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ თურქეთის საზოგადოებას გავაცნოთ თუ რა თქვამს თურქოლოგია საქართველოში განვითარებული. პარალელურად, ის თურქ ქართველოლოგებსაც დაინტერესებთ, მით უფრო, რომ ყარსის უნივერსიტეტში ამ მიმართულებით უკვე მუშაობენ.

ფიროსმანი, რომელიც 2007 წლიდან გამოდის და ფურნალის: მამული და ჩვენებურები ტრადიციების გამგრძელებელია, აპოლიტიკურია. მიუხედავად ამისა, მან გვერდით ვერ აუარა ისეთ თემას, როგორც რუსეთ-საქართველოს ომი - რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ფაქტს მისი ერთი ნომერი დაეთმო.

სარედაქციო ჯგუფი ერთუზიანობით და შემართებით ამზადებს გამოცემას, რომელთანაც იქაურების გარდა, ქართველი თურქოლოგებიც აქტიურად თანამშრომლობენ. ამ ფურნალს

დიდი წვლილი შეაქვს თურქეთში საქართველოს პოპულარიზაციის საქმეში. მასში სისტემატიურად ქვეყნდება სტატიები თურქეთის სხვადასხვა რეგიონებში არსებული ქართული სოფლების, ქართული ძეგლების, ადგილობრივი ქართველების, მათი კულტურისა და ტრადიციების, საზოგადო მოღვაწეთა შესახებ. ასევე, მოიცავს ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე სიახლეებზე, კულტურულ ქრონიკას და ა.შ.

ამ ფურნალის სულ შვიდი ნომერი გამოვიდა. მაგალითად, ერთ-ერთში შეგიძლიათ წაიკითხოთ ნილფერ ქურუიაზის ნერილი, სახელწოდებით - ორი მწერალი და ერთი სტამბოლი, სადაც ემინე სევი ოზდამარიასა და ორჰან ფაშუქზე წერს. ამ უკანასკნელის ბავშვობის მოგონებები ხომ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა სტამბოლის მრავალკულტურულმა სტრუქტურამ. დედაჩემი ლილუბს სომეხი ცოლქმრის მალაზიაში ყიდულობდა, ლიმონათს პრესტიჟულ საკონდიტროში უკვეთავდა, სადაც ბერძენი ოფიციატები მუშაობდნენ, უკანა გზაზე სომეხ ყასაბ კარაპეტას დაკეპილი ხორცი მოჰქონდა. ყველა ამ ადამიანთან საუბარი და ურთიერთობა ჩემთვის ისეთივე ბუნებრივი იყო, როგორც ფერად-ფერადი ლილუბი დედაჩემის კოლოფიდან. იმდროინდელი სტამბოლის იერი მრავალი ჯურის, მრავალი რწმენის, მრავალ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა თანაცხოვრება იყო, - იხსენებს ფაშუქი.

ამ მოგონების პარალელურად, ფურნალში წაიკითხავთ დათო ტურაშვილის წერილს ქართული სტამბოლი, სადაც უკვე ქართველების ამ ქალაქთან დაკავშირებულ ისტორიას გავცნობთ მეხუთე საუკუნეში მოღვაწე პეტრე იბერიდან მოყოლებული... ჩვენი ეს წერილიც ქართული სტამბოლის დაბრუნების მხოლოდ მოკრძალებული ცდაა, - აღნიშნავს ავტორი.

სახელოვნებათმცოდნეო წერილების პარალელურად, ფურნალში არანაკლებ მნიშვნელოვანია თურქულ ენაზე თარგმნილი პოეზიის ნიმუშები ისეთი ქართველი პოეტებისა, როგორებიც არიან: ვალაკტიონ ტაბიძე და ანა კალანდაძე. ქართველი მკითხველს კი შესაძლებლობა ეძლევა მეტი რამ შეიტყოს ცნობილ თურქ პოეტზე - ორჰან ველი.

აქვე გავცნობთ თუ რაზე მუშაობენ ქართველი თურქოლოგები, წაიკითხავთ საქართველოს კომპიუტერული ტექნოლოგიის განვითარების განყოფილებაში, თურქულენოვან ხელნაწერებსა და ოსმალურ საბუთებზე, რომლებიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება, მარიობის დღესასწაულზე შევქმთი, ხოჯა ნასრედინზე, სულჟუკების ქართველ დედოფალზე, რუსთაველის ვეფხისტყაოსანზე, ანტიკური იბერიის არქეოლოგიურ აღმოჩენებზე და კიდევ არაერთ საინტერესო მოვლენასა თუ პიროვნებაზე, რომელიც ჩვენთვის მემლექედის შვილებმა გამოცეს.

